№ 2982
ხუთშაბათი,
19 იანვარი

ცნობის ფურცელი

№ 2982
ხუთშაბათი,
19 იანვარი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავენ, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით 6** მან.	საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით 11** მან.
ერთის თვით 50 კაპ.	**ერთის თვით 1 მან.**

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი

„ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

„ნაპერწკალი"

საოხუნჯო კარიკატურებიანი ჟურნალი

◆ პირველი ნომერი გამოვა 22 იანვარს ◆

გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით, 4—8 გვერდი. კარრიკატურები დაიბეჭდება **ფერადის წამლებით.** ჟურნალში გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარ ოსკარ შმერლინგისა, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან და მიიღებენ მონაწილეობას მხატვრები—გრინევსკი და როტტერი.

ფასი ჟურნალისა წელიწადში 4 მან., თვეში 40 კაპ., ცალკე ნომერი 8 კაპ.

„ცნობის ფურცლის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ „ნაპერწკალი" გაეგზავნებათ ერთის მანეთის დამატებით, ე. ი. გაზეთის ხელის მომწერნი წლიურ ექვსი მანეთის მაგივრად შვიდ მანეთს გადიხდიან.

„ნაპერწკლის" წლიურ ხელის მომწერთ 3 მან. დამატებით გაეგზავნებათ გაზეთი „ცნობის ფურცელიც".

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Наперцкали".

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

ტფილისის მოსამსახურეთა კავშირის ბიურო აუწყებს კავშირის წევრებს უდროვოთ გარდაცვალებას კავშირის წევრის

მიხეილ იოსების ძე გეგეჭკორისას

რომელსაც ვასაფლავებთ 19 იანვარს, ხუთშაბათს, დილის 9 საათზე. ვთხოვთ გასვენებას დაესწრონ ყველა ამხანაგები მიხეილის საავათმყოფოში. (1—14—1)

აბონემენტების რიცხვში ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 8.

ხუთშაბათს, 19 იანვარს 1906 წ., ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: **ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ**

პირველად ახალი პიესა მუშების ცხოვრებიდან.

ახალი ქალი

დრამა 4 მოქმ. ლანგმანისა, თარგ. ი. ევდოშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, თ. კიკნაძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, სტეფანოვი, ქვიძე და სხვანი.

წარმოდგენა დაიწყება $7\frac{1}{2}$ საათზედ. გათავდება 11 საათზე.

ადგილების ფასი დაკლებულია. შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „აკრობატები", „ხალხი", „სულ სხვა კაცი".

მანთაშევის ქარვასლა

დახურულ ბაზრის მახლობლად

რკინეულობის სავაჭრო

დავით ისაის ძის არაქელოვისა.

ვაცხადებ პატივცემულ საზოგადოების და ჩემის მუშტრების,—როგორც ტფილისის, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთა,—საყურადღებოდ, რომ ჩემი მაღაზიები, რომლებიც მაიდანსა და იარმუკაზეა, 1905 წლის 22 ნოემბრიდან გადავიტანე ახალ ერთ და დიდ სადგომში დახურულ ბაზართან, მანთაშევის ქარვასლაში. ამიტომ ყოველივე ანგარიშების გასწორება ჩემ მუშტართან მოხდება ჩემს კანტორაში ახალს მაღაზიაში. ამასთან იმედი მაქვს, რომ ყველანი, ვინც-კი ჩემგან ყიდულობენ, ყურადღებას მიაქცევენ ჩემს ახალ ვაჭრობას.

(3—13—1) პატივისცემით **დ. ი. არაქელოვი.**

საბჭო

ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლისა

აუწყებს მოსწავლეთა მშობლებს, რომ უკანასკნელი ვადა სწავლის და პანსიონში შესანახ ფულის შეტანისა არის ამა წლის 25 იანვარი. ვინც ამ დროსთვის ფულს არ შემოიტანს, დათხოვნილი იქნება სასწავლებლიდან და იმის მაგიერ სხვა იქნება მიღებული. (3—6.—1)

ა. პ. შულგინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

მედიცინის დოქტორი

მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის, [illegible] სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 [illegible]-11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (51—368—45)

კბილის ექიმმა

ი. ზ. კანდელაკმა

განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ალაჯალოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ი. ნ. ემიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ი. ამეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ზეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—41)

ექიმი

მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—$11\frac{1}{2}$ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა. (2—17)

ექიმი

გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე, საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—6.—16)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი

მ. პ. ბეზირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—$7\frac{1}{2}$ საათ (თვ.—25)

ტფილისი, 19 იანვარი.

რუსეთის თავად-აზნაურობა.

„კუზიანს სამარე გაასწორებსო", ნათქვამია, მაგრამ რუსეთის ლენდლორდებს, როგორც სჩანს, ესეც ვერ მოიყვანს გონს. მათთვის არაფერია არც რუსის გლეხობის უკიდურესი გაჭირვება, არც მრავალ მილიონ ხალხის გამუდმებული შიმშილი; მათ არაფერს ეუბნება არც საშინელი აგრარული მოძრაობა, რომელიც მთელს რუსეთს მოედო. ყველაფრის მიუხედავად ისინი ენერგიულად ებღაუჭებიან თავიანთ პრივილეგიებს და სრულიად არ ჰფიქრობენ ცხოვრების ახალ მოთხოვნა-საჭიროებაზე.

ასეთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ იმ კრებაზე ნალაპარაკევიდან და დადგენილებათაგან, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსკოვში იანვრის დასაწყისს. შეიკრიბნენ შიდა რუსეთის გუბერნიების თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი,—იმ გუბერნიებისა, რომელიც მოდებულია გლეხთა მოძრაობის ცეცხლით. თავი და თავი საკითხი მათთვის, რასაკვირველია, ეს მოძრაობა იყო და, მართლაც, კრება სულ თითქმის ამის გამორკვევას მოუნდა. მაგრამ დაუჯერებელია ის ეგოიზმი, ის წინდაუხედაობა, რომელიც თავად-აზნაურთა დელეგატებმა გამოიჩინეს.

ცოტა დააკლდა, კინაღამ უარჰყვეს გლეხების გაჭირვებული მდგომარეობა: ზოგიერთის ნალაპარაკევიდან გამოდიოდა, რომ გლეხებს საიმისო არა უშავთ-რა და ყველაფერი „ბოროტ-გამზრახველთა" მიზეზით ხდება; აგიტატორები რომ არ იყვნენ სოფლად, მშვიდობიანობა არ დაირღვეოდაო. ბოლოს და ბოლოს კრებამ გაბედა და ასეთი ფუქსავატი აზრი არ შეიწყნარა: აღიარეს, რომ აგრარულს მოძრაობას უფრო ღრმა მიზეზები აქვს, რომ აგიტატორებს ნიადაგი მოუმზადა გლეხთა გაჭირვებამ, რომელიც უმთავრესად ადგილ-მამულის სივიწროვით აიხსნება. როცა ამნაირად „ამერიკა აღმოაჩინეს", შეუდგნენ იმის გამორკვევას, თუ როგორ უნდა ეშველოს ამ უბედურებას. და სწორედ აქ გამოიჩინეს ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლებმა თავისი ვიწრო წოდებრივი ეგოიზმი.

როგორც იცით, დღეს რუსეთში ყველა პარტიებმა, მათ შორის ულტრა-რეაქციონურმა პარტიებმა და ჯგუფებმაც, აღიარეს გლეხთა მიწათ-მფლობელობის გაფართოვების საჭიროება და აუცილებლობა. ამისთვის სხვა და სხვა გზასა და საშუალებას ირჩევს თითოეული პარტია, მაგრამ ყოველი მათგანი, თვით ეგრეთ წოდებული „პატრიოტული" პარტიებიც-კი საჭიროდ სთვლიან, რომ გლეხთა მიწათმფლობელობა ადგილობრივ გაძლიერდეს „ჩამონაჭრების" დაბრუნებით, სახაზინო, საეკლესიო და საუფლისწულო მამულების საშუალებით და დიდ მემამულეთა მიწა-წყლის განაწილებით; მხოლოდ ზოგი თავად-აზნაურთა მამულებს უსასყიდლოთ აძლევს მუშა-ხალხს, ზოგი სასყიდლს ასახელებს და სხვა. მოსკოვის კრებამ ყველა ეს ღონისძიება უკუაგდო და გამოაცხადა ლენდლორდების საკუთრება ხელუხლებელი უნდა იყოსო; თუ მაინცა და მაინც გლეხებს მიწა უნდათო, მთავრობამ ხელი შეუწყოს შიდა რუსეთიდან მათ გადასახლებას განაპირა ქვეყნებშიო მორჩა და გათავდა! აი, ერთად-ერთი „რეცეპტი" აგრარულს ტკივილს, რომელსაც თავად-აზნაურობა გამოიმეტებს. განაპირა ქვეყნებმა მისცეს ადგილ-მამულიო. რა ეხარჯებათ?!

საკვირველია ასეთი ეგოიზმი „მოწინავე" კლასისა, მაგრამ უფრო საკვირველია ის ფუქსავატობა, ის წინდაუხედაობა, რომელსაც რუსეთის თავად-აზნაურობა იჩენს: ნუ-თუ აღარ აფიქრებს მომავალი, ნუ-თუ არ ხედავს, რომ ხალხის აზბოქრებული ტალღა სრულიად წალეკავს რუსეთის კულტურას, თუ ხალხის სამართლიანი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქმნა, თუ იმის წყლულს ნამდვილი მალამო არ დაედება?!.

რამდენად ვიწრო ეგოისტური ბუნება გამოიჩინეს თავად-აზნაურებმა მოსკოვის კრებაზე, ცხადათ დაგვესურათება, თუ გავიხსენებთ ერთ ეპიზოდს, რომელიც მოხდა იქვე, მოსკოვში, ამას წინად მომხდარ გლეხთა კრებაზე. როცა უკიდურეს პარტიების ზოგიერთმა წარმომადგენელმა აღძრეს საკითხი იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობას უსასყიდლოთ უნდა ჩამოერთვას მამულებიო, დამსწრე გლეხობის უმრავლესობამ პროტესტი განაცხადა: ეგ უსამართლობა იქნებაო! ხალხი სამართლიანია და დიდსულოვანი; უდიდეს გაჭირვებაში უნდა ჩავარდეს, რომ ძალმომრეობისა და უსამართლობის გზას დაადგეს. და თავად-აზნაურობაც სწორედ ასეთს გზაზე აყენებს ხალხს, როცა მოსკოვის კრებისებურ სისასტიკესა და სიბრმავეს იჩენს. მაგრამ, საბედნიეროდ, ის დრო წავიდა, როცა ხალხის სვე-ბედის გადაწყვეტა მხოლოდ ბიუროკრატიისა და მის ყურ-მოჭრილ მონის—თავად-აზნაურობის—მონოპოლია იყო. ახლა თვით ხალხს ეხსნება გზა, თავის საქმეს თვითვე მოუაროს და იგი წინანდებურად აღარ იქნება იძულებული ტყუილ-უბრალოდ იხეტიალოს განაპირა ქვეყნებში, საითკენაც სიხარულით ერეკებიან ხოლმე მთავრობაცა და რუსის თავად-აზნაურობაც.

კოოპერაცია სოფლად.

დღეს ჩვენი კორესპონდენტი თელავის მაზრიდან მეტად საინტერესო ამბავს იუწყება. ერთს თელავის მახლობლად მდებარე სოფელს გულგულაში ადგილობრივ შეძლებულ მემამულის თაოსნობით გლეხებს დაუდგენიათ გაასაზოგადოვონ როგორც მიწები და ვენახები, აგრეთვე საწარმოვო იარაღები: საქონელი, გუთნები და სხვა. ამ დადგენილების წინააღმდეგი მთელს სოფელში მხოლოდ ათი კაცი ყოფილა, დანარჩენებს ერთხმივ გადაუწყვეტიათ ეს საქმე და კიდეც შესდგომიან თავის გადაწყვეტილების ასრულებას. როგორც კორესპონდენტი გვატყობინებს, სოფელს აურჩევია რამდენიმე კაცი საქმეების მოსაწესრიგებლად და ახალ საფუძველზე მეურნეობის მოსაწყობად.

ამ ფაქტს მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თვით გულგულელებისთვის და აგრეთვე დიდი თეორიული მნიშვნელობა იმ სადავო საკითხების გადასაწყვეტად, რომელთაც ასე ძლიერ იჩინეს თავი ჩვენს ცხოვრებაში უკანასკნელ ხანებში. ამბობდნენ და ამბობენ, გლეხი ბუნებით კერძო საკუთრების ფანატიკოსია და არაფრის გულისთვის თავის საკუთარს პაწია მიწის ნაჭერს ნებაყოფლობით არავის დაუთმობს; ამიტომ გლეხის გასოციალისტებას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს იმის გაპროლეტარება, გაბოგანოვება, რომელიც კაპიტალის ძლევა-მოსილებამ უნდა მოახდინოსო. გულგულის გლეხების მაგალითი სულ სხვას გვეუბნება. ეს მაგალითი ცხადზე უცხადესად გვიმტკიცებს, რომ წვრილ მესაკუთრესაც შესძლებია შეიგნოს და გაიმსჭვალოს აზრით საზოგადოებრივ მეურნეობითის სარგებლობის შესახებ. ამ გვარად, მეცნიერულ სამოსელში გამოხვეულ ვიწრო დოქტრინიორებს ცხოვრების კალო ცოცხალის ფაქტებით ურღვევს დოგმატიურ რწმენას და სულ სხვაგვარს ჰორიზონტებს უყენებს თვალწინ.

მაგრამ გადამეტებულის სიხარულისთვის საკმაო ნიადაგი ჯერ-ჯერობით არც იმ აზრის მიმდევრებსა აქვთ, რომელთაც მთელი სოფლის გლეხობა დაიყოლიეს და კოოპერატიულ შრომის პრინციპი აღიარებინეს. ამათ ამ თვითვე უნდა იცოდნენ, რომ ნამდვილად საქმის გაკეთება და თავის ხელმძღვანელ აზრების ჭეშმარიტი გამართლება მხოლოდ ეხლა იწყება. იმდენი მნიშვნელობა წამოყენებულ პრინციპებს არა აქვს, რამდენიც მათს რეალურს გატარებას ცხოვრებაში. იმდენად ძნელი რაიმე გეგმის განსახორციელებლად ხალხის თანაგრძნობის მოპოვება არ არის, რამდენადაც თვით ამ გეგმის განხორციელება. შრომის კოოპერატიულად მოწყობისთვის მეტად ენერგიული, შეგნებული და ფრთხილი ხელმძღვანელობაა საჭირო. თუ ასეთი შესაფერი წინამძღოლები არ გამოუჩნდნენ სოფელს გულგულას, უეჭველია, იმათი გადაწყვეტილება ისე დადნება, როგორც ყინულზე დაწერილი სიტყვა.

ერთს ინგლისურს ჟურნალში, რომელიც ბრიტანიის საამხანაგო დაწესებულებათა მთავარ ორგანოდ ითვლება, 1898 წელს სწერდნენ: „განა ჩვენ კაპიტალი გვაკლია? —არა, ამ ჟამად ათ მილიონ სტერლინგამდე (ასი მილიონი მანათი) ფული გვაქვს ხელში საამხანაგო წარმოებაში მოსათავსებლად, უეჭველია, საჩქაროდ მოგროვდებოდა კიდევ სხვა ათი მილიონი სტერლინგი, ოღონდ კი შეგვეძლოს სასარგებლოდ გამოვიყენოთ ეს თანხები ჩვენს მოძრაობაში. ნუ დავმალავთ, რომ ეხლა კოოპერატიულ მოძრაობისთვის ისე ფული არ გვიჭირს, როგორც ჭკუა და ნიჭი". ეს სიტყვები ინგლისში კოოპერატიულ მოძრაობის განმავითარებლებისა მეტად საგულისხმო სიტყვებია. გამარჯვება და გამტკიცება საამხანაგო პრინციპზე აგებულის მოძრაობისა ყოვლის უწინარეს დამოკიდებულია ნიჭსა და ჭკუაზე. ეს აზრი კარგად უნდა ახსოვდეთ იმ პირთ, რომელნიც სოფელმა გულგულამ ამოირჩია საქმის მოსაწყობად, რადგან თუ საქმე ჩაიშალა—ამისი ბრალი ყოვლის უწინარეს მათს უვიცობას და უტაქტობას მიეწერება.

ახალი ამბავი

◆ **ბ-ნთ სტაროსელსკის და ყიფშიძის სამართალში მიცემა.** „კავ."-ში დაბეჭდილია: „ნამესტნიკის დეპეშის თანხმად, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და დაითხოვა თანამდებობიდან ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი და ვიცე-გუბერნატორი ყიფშიძე. ამასთან ნამესტნიკმა გაგზავნა საბჭოს წევრი ი. ვ. მიცკევიჩი ხსენებულ პირთა კანონის საწინააღმდეგო მოქმედების გამოსაძიებლად. თუ გამოძიების შემდეგ დამტკიცდა დანაშაულობა სტაროსელსკისა და ყიფშიძისა, საქმე სენატს წარედგინება სისხლის სამართლით სახჩივრის აღსაძვრელად."

◆ **ჯარჯიაშვილი.** გენერალ გრიაზნოვის მოკვლის დროს შეპყრობილის გვარი ჯარჯიაშვილი ყოფილა და არა ჯარიაშვილი, როგორც გუშინ ვწერდით. როგორც გადმოგვცეს, ჯარჯიაშვილი უცვნიათ რკინის გზის სახელოსნოების ამხანაგ მუშებს და აგრეთვე მამას. შეპყრობილი უკვე მისცეს სამართალში. ამ საქმეს გაარჩევს სამხედრო-საველო სასამართლო ომიანობის დროის კანონების მიხედვით.

◆ **ფულის გატაცება.** როგორც ხონიდან გვატყობინებენ, 16 იანვარს, ასე საღამოს შვიდ საათზე, ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში შევარდნილა რამდენიმე შეიარაღებული კაცი, გაუღია ფულის ყუთი და გაუტაცნია ხუთას თუმანზე მეტი. უკვე მიუღიათ ზომები თავდამცემთა აღმოსაჩენად.

◆ **ჭიათურა.** ჩვენც გვეწვია ჯარი. აქედან ყაზახები და ჯარი შუქრუთსა, პერევისას და სხვა სოფლებში ავიდა. პერევისაში დაიწვა 4 სახლი, დაიწვა სახლები აგრეთვე შუქრუთსა, წირქვალსა და სხვაგან. დაჩხრიკეს მცხოვრებნი რგანსა, მღვიმევსა და სხვ. ხალხი ძალზე შეშინებულია. ჭიათურიდან ჯარი უკვე გაბრუნდა ზესტაფონში.

◆ **ბრძანება.** ტფ. გუბერნიის მაზრის უფროსებს დაეგზავნათ მოწერილობა. ამ მოწერილობით მაზრის უფროსებმა უნდა წარადგინონ შემდეგი ცნობები: 1. რა მდგომარეობაშია ახალგაზრდა კაცთა ჯარში გაწვევის საქმე; 2. სცნობენ თუ არა გლეხები ძველებურად კანონიერ მთავრობას და მოხელეებს, თუ თავიანთ ახალ მოსამართლეებს მიმართავენ ხოლმე; 3. იწყებენ თუ არა გლეხები სახელმწიფო და საერო გადასახადების შეტანას ხაზინაში; 4. კიდევ სჩეხენ გლეხები სახელმწიფო ტყეებს და ანადგურებენ მემამულეთა უძრავ მამულებს თუ არა.

◆ **ეკზეკუცია და ცუდი ხმები.** ახალციხის მაზრის სოფ. ქვაბისხევსა, დავრიშსა და საკირეში ეკზეკუცია იყო ჩაყენებული. ვიღაც ბოროტი პროვოკატორები იქაურ თათრებში ხმებს ავრცელებენ, ქართველებს თქვენი ქრისტიანად დანათვლა უნდათ და იმიტომ გაბრიყვებენო.

◆ **წირვა და პანაშვიდი.** გუშინ გენერალ ლეიტენანტ თ. თ. გრიაზნოვის გვამი საკუთარის ბინიდან გაასვენეს ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში. აქ გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდის დროს არსენალის გორიდან სამჯერ ზარბაზანი დასცალეს. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და მისი თანაშემწენი: ი. დ. მალამა, ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი და გენ. შირინკინი, სხვა და სხვა დაწესებულების უფროსები, გენერლობა, შტაბის აფიცრობა და ჯარი.

◆ **სომეხ-თათართა შეტაკება.** 17 და 18 იანვარს ტფილისში მშვიდობიანობა იყო. სომეხთა და თათართა შეტაკება იმითი გათავდა, რაც გვქონდა აღნიშნული.

◆ **სახელმძღვანელოები.** კომისია, რომელიც ზრუნავს ფიზიკო-მატემატიკის სახელმძღვანელოების შესამუშავებლად ქართულ ენაზე დაბალ და საშუალო სასწავლებლებისათვის, სთხოვს ყველას, ვისაც ამ საგნების ან თარგმანი, ან თავისით შედგენილი სახელმძღვანელოები აქვთ უკვე დაწერილი ან გამოცემული, მოაწოდონ კო-

მისის გასასინჯათ. თუ უკვე არსებული რომელიმე შრომა კომისიის შეხედულებით საკმარისად დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას ახლო მომავალში, პირველ ხანებში მაინც, კომისსია თავის დროს და მეცადინეობას დანარჩენ სახელმძღვანელოების შემუშავებას მოანდომებს. ადრესი: „ცნობ. ფურცლის“ რედაქცია, კომისსის გადასაცემად.

◆ **გამგეობის ახალი წევრები.** კვირას, 15 იანვარს, მოხდა თათბირი ტფილისის საბჭოს ხმოსნებისა. შეიკრიბა 31 ხმოსანი, რომელთაც დაადგინეს, არჩევნები ქალაქის გამგეობის წევრისა, ბ-ნ ენფიანჯიანცის მაგიერ, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, მოხდეს 23 იანვარს. ამავე დღეს უნდა მოხდეს არჩევნები გამგეობის მეორე წევრის ბ-ნ კოკჩაევისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა. დაასახელეს კანდიდატები. მეტი ხმა მიიღეს ბ-ნთ კოკოჩევმა და ექიმმა ა. ი. ხატისოვმა.

◆ **ახალი ქართული გაზეთი.** თედორე კიკვაძეს მთავრობამ ნება დართო გამოსცეს ტფილისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი „განთიადი“.

◆ **ახალი დრამა.** როგორც გავიგეთ, ფრანგ მწერლის მირბოს შესანიშნავი პიესა „ჟან დე მადლენა“ ქართულად გადმოუთარგმნიათ, ბეჭდვასაც შესდგომიან და მალე გამოვა კიდეც. თარგმანი ეკუთვნის ქ-ნ თამარ გოგოლაშვილს.

◆ **ბაქოს გრადონაჩალნიკი.** როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, ბაქოს გრადონაჩალნიკად ინიშნება ბათუმის გუბერნატორი ფონ-პაკაუ.

◆ **ბაქოს გუბერნატორი.** ოფიციალურად უკვე გამოცხადდა, რომ ბაქოს გუბერნატორად დაინიშნა ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ალიშევსკი.

◆ **ახალი წესდება.** სინოდის სამოსწავლო კომიტეტმა მოსწერა ადგილობრივ საეპარქიო ქალთა სასწავლებლების საპედაგოგიო საბჭოებს, რომ 40 წლის წინად შედგენილი და დამტკიცებული წესდება აღნიშნულ სკოლებისათვის სახელმძღვანელოდ დაძველდა და ამიტომ ახალი წესდება შეიმუშავეთ და გამოგზავნეთ დასამტკიცებლადაო.

◆ **ახალ ხმოსნების არჩევნების საქმე.** ტფ. ქალაქის საბჭოს ახალ ხმოსნების არჩევნების საქმე ჯერ გამოურკვეველ მდგომარეობაშია. არჩევნები, ვინ იცის, როდის მოხდება. გუშინ მიწათმოქმედების საქმის რწმუნებულმა გაუგზავნა გამგეობას სია ამომრჩეველთა ამ უწყების მოხელეთაგან 148 ამომრჩეველია.

◆ **წვრილ ვაჭრების შუამდგომლობა.** ტფილისში ქურქლეულობისა და სხვა წვრილმან სავაჭროების პატრონებმა სთხოვეს ქალაქის მოურავის მოადგილეს, იშუამდგომლოს, რომ სავაჭრო მოწმობების აღების ვადა გადადებულ იქნას 1 აპრილამდე. თუ ვადა არ გადაიდება, თხოულობენ ნება მიეცეთ თვე და თვე შეიტანონ გადასახადები. თხოულობენ აგრეთვე, რომ საშუალო სააქციზო გადასახადი გამოერთვათ უჯარიმოდ დროზე შეუტანლობისათვის და ისიც ნაწილ-ნაწილად.

◆ **სასანიტარო რაზმების შესახებ.** გენერალმა მალამამ გუშინ მისწერა ქალაქის მოურავს: ჩემ გენერალ-გუბერნატორობის დროს ქალაქის თვითმმართველობას ნება დავრთე სასანიტარო ადგილები მოეწყო, რომელთაც საჭიროების დროს საექიმო-სასანიტარო დახმარება უნდა აღმოეჩინათ სომეხ-თათართა შეტაკების დროს დაშავებულთათვის. სანიტრებს ნება ჰქონდათ ეტარებინათ ნიშნები. როგორც ეხლა გავიგე, ბევრნი ამ ნიშნებს აქამდე ატარებენ. ამიტომ უნდა მოისპოს სასანიტარო სადგომები და მთელი ეს საქმე გაუქმდეს. ქალაქის თვითმმართველობამ ხელი მეორედ უნდა აღძრას შუამდგომლობა სასანიტარო სამკურნალო დასის შესადგენად და სასანიტარო სადგომების გასამართავად.

◆ ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლიდან, გარდა 6 მოწაფისა, 17 იანვარს გამორიცხულ იქმნა კიდევ 10 მოწაფე

◆ ქალაქის ღამის თავშესაფარების კომისიამ პოლიციის მე-6 ნაწილში გამართული 1 ღამის თავშესაფარი გააუქმა და ვინც იქ იყვნენ, დაქირავებულ სახლში მოათავსა ავლაბარში. მეორე ღამის თავშესაფარის ზედ მხედველად, ნაცვლად მ. კლიმიაშვილისა, დანიშნა ფერშალი კაპუსტინი.

◆ 16 იანვარს ავლაბარში ორი უცნობი სომეხი მივარდა ერთს თათარს და მოუნდომეს მოკვლა. „დაშნაკცუტუნის“ პარტიის წევრები თათარს წაეშველნენ, გადაარჩინეს და საკონსულოში გაგზავნეს.

პრესსა

რეაქციის მოქმედებამ დეკემბერსა და იანვარში გადამეტებულის სისასტიკის სახე მიიღო. მთელს რუსეთში უწყალოდ იღვრება სისხლი. სულ უბრალო და უცაბედი რამ შემთხვევაა ხშირად საკმაო, რომ მთავრობის მოხელეებმა ადამიანი დახვრიტონ ან ჩამოარჩონ გაუსამართლებლივ. რუსეთის გაზეთებს ყოველ მხრიდან მრავალ ასეთს ფაქტებს ატყობინებენ. გაზეთ „რუსსკია ვედომოსტი“ ამ ამბების გამო სწერს:

> ჰკითხულობ ამ საშინელ ამბებს და უნებურად ეკითხები შენს თავს,— ნუ თუ ჩვენს სამშობლოში, რომელიც თავის თავს საქრისტიანო და კულტურულ სახელმწიფოდ სთვლის, არსებობს ისეთი კანონი, რომელიც ჯარის კაცთა ყველა უფროსს უფლებას აძლევს უკონტროლოდ მოუსპოს სიცოცხლე ადამიანებს, თუნდაც მათ შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობა ბრალდებოდეთ. რამდენიც უნდა ეძიოთ რუსეთის იმპერიის მრავალ ტომიან კანონებში, არსად ასეთს უკაცობრიო, უზნეო და უგუნურ კანონს ვერა ჰნახავთ. თვით განსაკუთრებულ კანონთა შორის განსაკუთრებული „წესები იმ ადგილების შესახებ, რომელნიც საომარს მდგომარეობაზე არიან გამოცხადებული“, ჯარის მთავარსარდალს ნებას აძლევს, გააფართოვოს სამხედრო სასამართლოს ქვემდებარე საქმეები, თვით სასამართლოებს კი უფლებას აძლევს, სიკვდილით დასაჯოს ისინი, ვინც დამნაშავე არიან შეიარაღებულ აჯანყებაში ან ჯარზე, პოლიციაზე და სხვა თანამდებობის მოხელეებზე თავდასხმაში, თუ ასეთს დამნაშავეებს ან მკვლელობა ჩაუდენიათ ან განუძრახავთ, ან დაუწვიათ ვინმე და ან ცეცხლი გაუჩენიათ; მაგრამ ყოველ შემთხვევაში სიკვდილით დასჯა სასამართლოს შეუძლიან და არა თვით მთავარსარდალს გაუსამართლებლივ.

შემდეგ გაზეთი ამბობს, ეხლა ისე ჰხვრეტენ ხალხს, რომ არც კი კითხულობენ, რა საფუძვლით და რის ძალით ჰმოქმედებენო, და სანიმუშოდ მოჰყავს ვარშავის ამბები:

> ოთხს იანვრამდე ვარშავაში, სამხედრო დებულების მე-12 მუხლის ძალით, თერთმეტი კაცი იქმნა დახვრეტილი. ისინი ეკუთვნოდნენ პოლიციისაგან აღმოჩენილ ანარქისტ-კომუნისტების საზოგადოებას. ყველა იმათ ჰბრალდებოდათ დამზადება და სროლა ბომბებისა და სხვა ტერორისტულ აქტების ჩადენა.

სამხედრო დებულების მეთორმეტე მუხლი ჯარის მთავარ-სარდალს უფლებას აძლევს, თუ სახელმწიფო წესების დაცვის საჭიროება ან იმში გამარჯვების ინტერესი მოითხოვს, ამ შემთხვევაში მიიღოს ისეთი ღონისძიება, რომელიც კანონში ნაჩვენები არ არის, მაგრამ ყოველ ასეთ შემთხვევის შესახებ მოახსენოს იმპერატორს. გაზეთი „რუსსკია ვედომოსტი“ ფიქრობს, დაუჯერებელია ამ კანონს ის აზრი ჰქონდეს, რომ უკვე შეპყრობილი, იარაღ-ახდილი ბოროტ-მოქმედი, რა გვარი ბრალდებაც უნდა იყოს წამოყენებული იმის წინააღმდეგ, გაუსამართლებლივ დაისაჯოს სიკვდილითაო. ასეთი ბოროტ-მოქმედის დახვრეტა გაუსამართლებლივ დარღვევაა კანონისა, და რომ ეს ასეა, ამას არ უარჰყოფს თვით შინაგან საქმეთა მინისტრიო.

> „მინისტრთა საბჭოს სხდომაზე 9 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრი არ უარჰყოფდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სამხედრო უფროსები თავის უფლებათა საზღვარს გადასცილდნენ, მაგრამ ამასთანავე ამბობდა, ეხლა იმდენად სერიოზულია მდგომარეობა, რომ ამ დამნაშავე უფროსების სამართლის ხელში გადაცემას შეიძლება ჯარის დემორალიზაცია მოჰყვეს, ჯარი კი ძლიერ საჭიროაო. ამ პირების დაუყოვნებლივ სამართალში მიცემა ეხლა მართლა შეუძლებელია, მაგრამ ეხლავე უნდა იქმნას მიღებული ზომები, რომ ასეთი გადაცდენა სამხედრო უფროსების მხრივ თავის უფლებათა საზღვრებისა მოისპოს და აღარ გამეორდეს. შეუძლებელია ნებადართული იყოს, რომ სამხედრო უფროსები თავის სურვილით ან შეთანხმებით სხვა უფროსებთან ჰხოცდნენ ხალხს, და შინაგან საქმეთა მინისტრი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კი იმით ნუგეშობდნენ, რომ როგორც ცეცხლის გაქრობის დროს უდროვოა შუშების გადარჩენაზე ფიქრი, ისე აჯანყების დროს უდროვოა ფიქრი კერძო ადამიანებზე. ადამიანებსა და შუშებს შორის ცოტა განსხვავებაც არის!“

⁂

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, უკრაინელებს (მალოროსებს) თავის სამშობლო ენაზე წლევანდლამდე წიგნების და გაზეთების გამოცემა აკრძალული ჰქონდათ. მხოლოდ წელს გამოიცა უკრაინელს ენაზე ყოველკვირეული გაზეთი ქ. პოლტავაში, გაზეთს ჰქვიან „რიდნი კრაი“ (სამშობლო ქვეყანა). ეს გაზეთი მეთაურს წერილში ზოგად სიტყვებით განმარტავს თავის პროგრამას და აცხადებს, რომ ემსახურება ხალხის ინტერესებს, განსაკუთრებით გლეხებისას, რომელთათვისაც ყოვლის უწინარეს საჭიროა დაახლოვება ურთიერთთან და კავშირი. როცა შეერთდება გლეხობა, მაშინ ის ყველა თავის გულის წადილს ადვილად შეისრულებს, სხვათა შორის ადვილად მოახდენს მიწის მფლობელობის რეფორმასაცაო.

უკრაინელ გაზეთის პირველს ნომერში განსაკუთრებითის ყურადღების ღირსია ანგარიში პოლტავის მაზრის ერობისაგან მოწვეულ ყრილობისა. გლეხები ამ ყრილობაზე ერთხმივ აცხადებენ, ჩვენი პირველი საჭიროება მიწააო, თუმცა ყველა ერთი აზრისა არ იყო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაკმაყოფილდეს ეს საჭიროება. ბოლოს მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ სახელმწიფო, საკაბინეთო, საუფლისწულო და სამონასტრო მიწები უფასოდ გადაეცეს ხალხს, კერძო საკუთრეიის მიწები კი იმ პირობებით, რომელიც შემუშავებულ იქმნება სახელმწიფო სათათბიროსაგან.

> ყრილობამ მიიღო აგრეთვე რეზოლიუცია უკრაინაში ავტონომიის შემოღების შესახებ. ერთს ორატორს, გლეხს კუხარს, ავტონომიის სასარგებლოდ შემდეგი საბუთი მოჰყავდა: „ამბობენ, მიწის საკითხს სათათბირო გადასწყვეტსო. სათათბიროში სხვა და სხვა ქვეყნებიდან იქნება ხალხი თავმოყრილი, ისინი სხვა და სხვა ინტერესებს დაიცავენ და კიდევ ვინ იცის, ისეთს კაცებს აირჩევენ სათათბიროში, ვინც ჩვენ გვინდა თუ არა. ამიტომ უკეთესი იქნებოდა, რომ მიწის საკითხი აქვე, უკრაინაში გადაწყდებოდეს... როცა უკრაინის ყველა გლეხები ერთს კავშირს შეადგენენ, მაშინ მოითხოვენ ისინი უკრაინის გამოყოფასაც; მოითხოვენ არა იმას, რომ სრულებით მოისპოს კავშირი რუსეთთან, არამედ იმას, რომ დაუბრუნდეს უკრაინას ის უფლებები, რომლებიც ჰქონდა მას, როცა მოსკოვის სახელმწიფოს შეუერთდა. მთელს რუსეთში ისეთი წყობილება უნდა იქმნას შემოღებული, რომ ყველა მხარეს, ყველა ქვეყანას შეეძლოს თითონ მოაწყოს თავისი საქმეები, ჰქონდეს ავტონომია.—ამით იმპერია არ დაირღვევა, მხოლოდ ისეთი ცხოვრება დამყარდება, როგორც, მაგალითად, იმ ოჯახშია, რომელიც მამისა და ხუთი შვილისაგან შესდგება. თითოეული შვილი ოჯახისა ზოგიერთ საქმეებს თავის გონებით სჭრის, მამას კი მხოლოდ იმის შესახებ ეკითხებიან, რაც უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმეა. სწორედ ასევე მოეწყობა რუსეთის ცხოვრებაც: თითოეული ქვეყანა ანუ მხარე თითონ გადასწყვეტს თავის საქმეებს—და, რაც კი მთელ სახელმწიფოს ინტერესებს და საჭიროებას შეეხება, ამას სახელმწიფო სათათბირო გაუძღვება“.

საინტერესოა აგრეთვე, რომ გლეხებმა მოითხოვეს საარჩევნო უფლება ქალებისთვის. როცა გლეხმა ორატორმა განაცხადა, საარჩევნო უფლებას არავინ მოკლებული არ უნდა იყოსო, ყრილობის თავმჯდომარე განკა შეეკითხა: „მაშ, ქალებმაც უნდა აირჩიონ?“ გლეხებმა უპასუხეს: „დიახ, ქალებმაც“.—„დედაკაცებმაც“ (И бабы?)—ხელახლა იკითხა თავმჯდომარემ. გლეხებმა უპასუხეს: „ისინიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც კაცებიო.“

ცხადია, მთავრობის მეცადინეობას, უკრაინელთა ეროვნული გრძნობა მთლად დაეხშო და იმათი გონება ბნელეთში შეენახა, ნაყოფი ვერ მოუტანია.

სასამართლო

I

გიმნაზიის მოსწავლის მოკვლა

16 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე მოსკოვის ლეიბ დრაგუნის მე-III პოლკის „ვოლნო-ოპრედელიაიუშჩის“ ივანე სალტანოვსკისა, რომელსაც წინასწარ განზრახვით გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის ვლადიმერ კრასიუკოვის მოკვლა ჰბრალდებოდა. 1904 წლის 11 აპრილს საღამოთი სალტანოვსკი მიხაკალა ელისაბედას ქუჩაზე. კრასიუკოვი თავის ბებიასთან ერთად მიდიოდა ამავე ქუჩაზე. სალტანოვსკი მისწვდა გიმნაზიელს და ისე ძლიერ ჩაჰკრა ხანჯალი მუცელში, რომ ემაწვილი რამდენისამე ხნის შემდეგ მიხეილის სამკურნალოში გარდაიცვალა. მოკლულმა და იმისმა ბებიამ გამოკითხვის დროს შეამოწმეს, რომ გიმნაზიელისა და სამხედრო კაცის შორის არავითარი ჩხუბი არ მომხდარა მკვლელობის დროს და არც იცნობდნენ იგინი ერთმანეთს, რის გამოც ვერ ახსნათ, თუ რისთვის ჩაიდინა ეს მხეცობა სალტანოვსკიმ. გამოძიების დროს ივანე სალტანოვსკიმ არ დაასახელა მიზეზი, რამ აიძულა იგი ამ მკვლელობის ჩასადენად, მაგრამ შემდეგ-კი განაცხადა გამომძიებელთან, რომ აღდგომას ღამეს გიმნაზიელი კრასიუკოვი ამაღლების ეკკლესიის ეზოში მდგომ ხალხში პროკლამაციებს ავრცელებდაო. მკვლელობის ჩადენის დღეს სალტანოვსკი სადილად ყოფილა უბნის ზედამხედველ პოლიციის მოხელე ჟუკოვთან და იქ ულაპარაკნია, რომ ამაღლების ეკკლესიაში და სხვაგანაც პროკლამაციებს ავრცელებდნენ, როგორც ეტყობა, ტფილისში „იუსტას“ მოხდენას აპირებენ და მე დავერევი და ვასაც მივწვდები, ყველას ყელს დავსჭრიო. გაუკვია აგრეთვე რომ ამ დღეებში პოლიციელებისათვის თოფები და განსაკუთრებული მათრახები დაურიგებიათ, რომ რაიმე არეულობის მოხდენის დროს ხალხს დარეოდნენ და ეკვეტათ და ემათრახებიათ. სალტანოვსკის გამომძიებელთან თავი დამნაშავედ არ უცვნია და უთქვამს ჟუკოვთან ძალზე დავითვერი და როცა ელისაბედას ქუჩაზე გამოველი, ძაღლის შესაშინებლად ხანჯალი ამოვიღე და ვიქნევდი; ამ დროს გიმნაზიელი მოდიოდა ვიღაც მოხუც ქალთან ერთად, შემთხვევით ხანჯალი მოხვდა და მომიკვდაო.

21 ივნისს ოლქის სასამართლომ სპეციალურად ექიმების დახმარებით შეამოწმა სალტანოვსკი და აღმოჩნდა, რომ იგი ჭკუაზე სალამათაა. სასამართლოში სალტანოვსკიმ თავისი ჩვენება გაიმეორა.

სასამართლომ ივანე სალტანოვსკის გადაუწყვიტა სამხედრო საპატიმროში 2 თვით დაპატიმრება. თუ ეს დაპატიმრება მოუხერხებელია, იგი წყალსა და პურზე დატოვებულ უნდა იქნეს ყაზარმაში ერთის თვითა და 5 დღით.

II

ა. ი. ჩიმიშკიანცის საქმე

17 იანვარს ტფ. ოლქის სასამართლოში დაიწყო გარჩევა ნაფიცი ვექილის თანაშემწის ა. ი. ჩიმიშკიანცისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ინჟინერ კირაკოზოვის ცოლის დაჭრა და განზრახვა მოკვლისა. ეს საქმე მოხდა შარშან, 29 აპრილს, კირაკოზოვის სახლში. გამოძიებაზედ დაჭრილმა ქ. კირაკოზოვისამ პირველად უჩვენა, რომ მოვიდა ა. ი. ჩიმიშკიანი, შემოვარდა და რევოლვერი მესროლა, დამჭრა, შემდეგ ორჯელ თავის თავს ესროლა და ერთ ადგილას დაიჭრაო. ამ ჩვენებას კირაკოზოვისამ ხელი არ მოაწერა და მეორედ უჩვენა: „მოვიდა ჩიმიშკიანი, ლაპარაკი მოგვივიდა, ამოიღო რევოლვერი, თავის თავს დაუმიზნა, მე მივვარდი, რევოლვერში ხელი ვტაცე, რევოლვერი გავარდა და მე მომხვდა მარცხენა ძუძუს ზევით. ამის შემდეგ ჩიმიშკიანმა თავის თავს ორჯელ ესროლა რევოლვერი და ერთი ტყვიით დაიჭრა იგიო.“ ეს უკანასკნელი ჩვენება ქ. კირაკოზოვისამ მესამე გამოძიების დროსაც გაიმეორა.

სასამართალში მისცეს ა. ი. ჩიმიშკიანცი. ჰბრალდებოდა ქ. კირაკოზოვის მოკვლის განზრახვა. 17 იანვარს სასამართლოში ქ. კირაკოზოვისა არ გამოცხადდა. სასამართლოს საზღვარ-გარეთიდან მოუვიდა დეპეშა, რომლითაც კირაკოზოვისა იტყობინებოდა, საქმის გარჩევას ვერ დავესწრებიო, უჩემოდ გაარჩიეთ, ჩემი ჩვენება საქმეშიაო. სასამართლომ შეიწყნარა ამ დეპეშის შინაარსი და შეუდგა მოწმეთა და ექსპერტ ექიმების კითხვას. ჩვენების ჩამორთმევის დროს ბრალდებული ცდილობდა დაემტკიცებინა ქ-ნ კირაკოზოვის კეკლუცი ქცევა და ამისავე კავშირი ბრალდებულ ჩიმიშკიანცთან. ამ უკანასკნელის ცოლმა სასამართლოს უთხრა, ჩემი ქმარი სამაგალითო მეუღლე და ოჯახის მოყვარე კაცი იყო და არის კიდეცაო. ესევე უჩვენა ჩიმიშკიანცის სიდედრმა ქ. ლოტისამ. იმ კითხვაზე, თუ რას იტყვის იგი ჩიმიშკიანცის და კირაკოზოვის ცოლის კავშირზე, სთქვა, ეს მხოლოდ ჭორებით ვიცოდი და ამაზე მთელი ქალაქი ლაპარაკობდაო. ექიმ-ექსპერტებმა სთქვეს, შესაძლებელია, ტყვია გამკვლების დროს მოხვედროდეს კირაკოზოვისასაო.

გუშინ სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ა. ი. ჩიმიშკიანცი უდანაშაულოდ იქმნა ცნობილი.

თეატრი და მუსიკა

დღეს, 19 იანვარს, სახაზინო თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა ნიკიერ

ფელეტონი

დასავლეთ საქართველოში

ქუთაისი, 14 იანვარი

ერთმა თვემ განვლო მას აქეთ, რაც ქუთაისი ქვეყნიერებას მოსწყდა და ეს ხანი, იმის მიხედვით, თუ რა მოხდა, მთელ საუკუნედ შეიძლება ჩაითვალოს. რომ სიტყვა არ გავაგრძელო, ქრონოლოგიურად გავიხსენებ ჯერ უმთავრეს ფაქტებს, რომელიც მოძრაობის მომასწავებელი იყო, და მერე იმას, რამაც რეაქცია დაახასიათა.

ხუთ-ექვს დღეს რკინის გზის მოძრაობის შეჩერების შემდეგ ქალაქში გარეგნული სიწყნარე და სამშვიდე იყო, მაგრამ თითო-ოროლა არა ჩვეულებრივი ამბავიც მოხდა, რაც კარგის მომასწავებელი არ იყო.

17 დეკემბერს დანიშნული იყო სამეურნეო განყოფილების სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა ადგილობრივ სამეურნეო სასწავლებლის მდგომარეობა და მოეწესრიგებინა აწეწილი საქმეები. კრების თავმჯდომარემ, ვ. ა. სტაროსელსკიმ, გახსნა კრება და დამსწრეთ მიმართა სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა არა ჩვეულებრივი მდგომარეობა ქვეყნისა და იმედი, რომ მოძრაობა მშვიდად დამთავრდება და თავისას მიაღწევს და ამავე დროს განყოფილების წევრთ სთხოვა, სასწავლებლის საქმეები გადაეთვალიერებინათ და ასე თუ ისე გადაეწყვიტათ სკოლის ბედ-იღბალი. გაათავა თუ არა თავისი სიტყვა ბ-მა სტაროსელსკიმ, მასთან მივიდა ერთი კაცი და რაღაც უთხრა. სტაროსელსკიმ იხმო კრებაზე მყოფი საგანგებო საქმეთა მოხელე და სადღაც გაგზავნა. ეს საკმაო იყო, რომ თითქმის დამსწრეთა ნახევარს კრება მიეტოვებინა. რამ გამოიწვია ასეთი შიში, ამაზე მერე ვილაპარაკოთ, და ეხლა ისევ კრებას დავუბრუნდეთ.

ვიდრე იმ კომისიის მოხსენებას წაიკითხავდნენ, რომელსაც სასწავლებლის რევიზიის მოხდენა ჰქონდა დავალებული, ერთმა დამსწრემ განაცხადა, რომ არიან წევრობის მსურველნი და გთხოვთ ეს საკითხი პირველ დააყენოთ გადასაწყვეტად, რადგან წევრობის მსურველთ მონაწილეობის მიღება უნდათ დღევანდელ სხდომაში. თავმჯდომარემ აუხსნა, რომ, წესდების ძალით, წევრობის მსურველნი ერთ კრებას უნდა წარუდგინონ ორმა ნამდვილმა წევრმა და მეორეზე არჩევანი უნდა მოხდეს ფარულის კენჭის ყრითაო, მაგრამ ამაოდ -მრავლად მოსული წევრობის მსურველნი დაჟინებით ითხოვდნენ, რომ პირველად ეს საკითხი გადაწყვეტილიყო. მიუხედავად პროტესტებისა უმრავლესობამ შესაძლებლად სცნო ახალ წევრების მიღება. მაშინ წარმოადგინეს სია 48 კაცისა, რომელნიც წევრებად იყვნენ მიღებულნი. ეს 48 კაცი აღმოჩნდა დემოკრატების წარმომადგენელნი და, როგორც შემდეგში დავინახავთ, იმ აზრით მოსულიყვნენ კრებაზე და წევრობის სურვილი გამოაცხადეს, რომ სასწავლებლის გამგედ თავის კაცი დაეყენებინათ.

წევრების არჩევის შემდეგ, განყოფილების მდივანმა ბ-მა ც. მდივანმა წაიკითხა იმ კომისიის დადგენილებანი, რომელსაც სასწავლებლის საქმეების რევიზია ჰქონდა მინდობილი, რომლიდანაც აღმოჩნდა, რომ სასწავლებლის მდგომარეობა სანუგეშოს არაფერს წარმოადგენს—სასწავლებელს 2000 მანეთი ვალი დასდებია; მიუხედავად 12 წლის არსებობისა მოუწყობელია, სამეურნეო იარაღი სახელით თუ არსებობს, თორემ საქმით არც ერთი არ ემსახურებოდა თავის დანიშნულებას, ვენახი და ბაღი მოუვლელობისა და უპატრონობის გამო გაპარტახებული და გავერანებულია და სხვა მრავალი ამისთანა. კომისიის აზრით, მიზეზი სკოლის ასეთი დაქვეითებისა ის არის, რომ სკოლის მართვა-გამგეობის საქმე ჩაბარებული ჰქონდა დეპარტამენტის მიერ დანიშნულ კაცს, რომელმაც არა იცოდა-რა, და არა საზოგადოების მიერ არჩეულს, როგორც მოითხოვს სკოლის წესდება. შემდეგის ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ სამეურნეო დეპარტამენტის დანიშნული ერთი გამგე გამოგზავნილი ყოფილა მძიმე ავადმყოფობის განსაკურნებლად, მეორე მაგარ სასმელების მიყვარული აღმოჩნდა, მესამეს თავისი თავი როტის კომანდირად დაუსახავს, ხოლო მოსწავლეები—ჯარის კაცებად, მეოთხეს ყველაფერი უკეთებია სასწავლებლის საქმეების გარდა, და სხვა და სხვა. როცა გამგის ადგილი თავისუფალი ყოფილა, საზოგადოებას თავისი კანდიდატი წარუდგენია დასამტკიცებლად, მაგრამ ამაოდ—დეპარტამენტი თავის კაცებს ჰგზავნიდა. ასეთ პირობებში სკოლა დავალიანებულა, თავის მიზანს დაშორებია და დღევანდელ მდგომარეობამდის მისულა.

რა-კი გამოირკვა სასწავლებლის უნუგეშო მდგომარეობა, საზოგადოება ორ-ნაწილად გაიყო.—უმცირესობა იმ აზრისა იყო, რომ სასწავლებელი უნდა დაიხუროს, უფრო დაწვრილებით განიხილოს მისი საქმეები, გადაისინჯოს პროგრამა ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული და შემდეგ ამისა განახლდეს სწავლა. უმრავლესობა კი, რომელსაც შეადგენდნენ ახლად ჩაწერილი წევრნი, დაჟინებით ითხოვდა სწავლის დაწყებას და სასწავლებლის გამგის არჩევას. თუმცა თავმჯდომარემ აუხსნა, რომ გამგის არჩევა განსახილველ საკითხების სიაში არ არის მოთავსებული და ამიტომ არჩევა უკანონო იქნებაო, ახალმა წევრებმა თავისი გაიტანეს და მოხდა არჩევნები გამგისა. უმცირესობამ კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო, ხოლო უმრავლესობამ გამგედ დაასახელა ბ-ნი ბარამიძე, რომელმაც სხვა არჩეულ პირებთან ერთად თავისი მოხსენება უნდა წარუდგინოს საზოგადო კრებას სკოლის საქმეების შესახებ და შემდეგ ამისა განახლდეს სწავლაც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წევრებად ჩაწერილთ არც ერთს არ გადაუხდია საწევრო ფული და კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღეს.

18 დილას შევიტყეთ, რამ გამოიწვია ზემოხსენებულ კაცის მისვლა კრების დროს გუბერნატორთან და კრებიდანვე გუბერნატორის საგანგებო მოხელის წასვლა. წინა ღამეს გამოსულიყო ქალაქში ორი რაზმი ხოპერის ყაზახებისა და, როგორც ამბობენ, მრავალი ხალხი დაერბიაო. მეორე დღეს გუბერნატორთან შეიკრიბნენ დაზარალებულნი, რომელთა რიცხვი 15 კაცს აღემატებოდა. ზოგი სჩიოდა ფულის წართმევას, ზოგი ნაბდისას, ზოგი იარაღისას და ვინ იცის კიდევ რას. გუბერნატორმა მაშინვე ზომები მიიღო საქმის გამოსაძიებლად—შეატყობინა პროკურორს, რომელმაც თავის მხრით იმავე დღეს მიანდო საქმის გამორკვევა გამომძიებელს. დაზარალებულთა სიტყვით, ყაზახების რაზმები ორ აფიცერს, ლარიონოვისა *) და ნეკრასოვის ხელ-მძღვანელობით ქალაქში დაიარებოდნენ. სხვათა შორის, ყაზახები მისულიყვნენ საპოლიციო დარაჯების ბინაზე, საცა ხანგრძლივი ბაასი ჰქონოდათ დარაჯებთან იმის შესახებ, რომ გუბერნატორი მოღალატეა და ნურაფერს გაუგონებთ და თუ იარაღის გამორთმევა მოგინდომოს, ნუ მისცემთ, რადგან თქვენი იარაღი ხალხის შესაიარაღებლად უნდა, რომ შეიარაღებული ხალხი ჯარის წინააღმდეგ გამოვიდეს საჭიროების დროსაო. ყველა ამას დაზარალებულნი და სხვებიც ამბობდნენ.

რაღა ლაპარაკი უნდა, ასეთმა ამბებმა ხალხში შიში დაბადა და მრავალი მოქალაქე გაიხიზნა ქუთაისიდან.

ამავე ხანებში მოხდა ქუთაისის გარნიზონის აფიცრების კრება, რომელსაც მიზნად ჰქონდა გამოერკვია ჯარის დამოკიდებულება ხალხთან და მოძრაობასთან. რა ითქვა ამ კრებაზე, არ ვიცი, საჯაროდ-კი გამოაქვეყნდა, რომ აფიცრობას, მიუღია რა მხედველობაში თავისი არა ნორმალური მდგომარეობა, საჭიროდ უცვნია საგანგებო საბჭოს არჩევა და ამას გარდა დაუდგენია, რომ თუ ვინმე მოქალაქეთა შორის შეეხო ან შეურაცხჰყო ჯარის-კაცი ან აფიცერი, მაშინ ჯარი იძულებული გახდება შური იძიოს იმით, რომ მოძრაობის მეთაურნი შეიპყროს და დასაჯოს. ასეთმა დადგენი-

---

*) ლარიონოვი ის აფიცერია, რომელიც რამდენისამე დღის წინად ზუგდიდიდან დაბრუნდა თავის ყაზახებით და მანამდის-კი ცნობილ კედამოვის განკარგულებას ასრულებდა.

არტისტის ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ. მობენეფისეს აურჩევია საინტერესო პიესა—დრამა გერმანელ მწერლის ლანგმანისა. გავაცნობთ მკითხველს ამ დრამას.

შინაარსი დრამისა აღებულია გერმანელ მუშათა ცხოვრებიდან. მოქმედება სწარმოებს მორავიის ერთ სოფელში, სადაც მუშის ქარხანაა. მცხოვრებნი ამ ქარხანაში მუშაობენ. ახლო-მახლო იშვიათია ისეთი ოჯახი, რომლის პაპას, მამას და შვილებს ამ ქარხნის კედლებში არ გაეტარებინოთ სიცოცხლე და იქ ოფლითა და ტანჯვით აღებულ ფულით არ გამოეკვებნოთ მახლობელნი. ასეთია, სხვათა შორის, შტერების ოჯახი, რომლის წევრნიც ლანგმანის დრამის უმთავრესი მომქმედნი პირნი არიან. მამა ამ ოჯახისა სწორედ ამ ქარხანაში მუშაობის დროს გამოეთხოვა წუთი-სოფელს. დარჩა ქვრივი, ორი ჭაბუკი ვაჟიშვილი, ერთი ქალიშვილი და ერთიც აყვანილი და შინ გაზრდილი ქალი. ყველა ესენი იმავე ქარხანას შეჰყურებენ, იქიდან მოელიან ლუკმა-პურს. ამათ საუბედუროდ, ერთი ვაჟი, სიცოცხლითა და ძალ ღონით სავსე, ამასთან გონება მახვილი და განვითარებული ლუკა სალდათად წაიყვანეს ჯერ ისევ მამის სიცოცხლით. ამ სალდათობაში სამოთხი წელიწადი გადის.

პირველი მოქმედება იწყება იმით, რომ ოჯახი მოელის ლუკას, რომელსაც სალდათობის ვადა გაუთავდა. ამ ოთხი წლის განმავლობაში, რაც ლუკა სალდათად იყო, დიდი ცვლილება მოხდა როგორც შტერების ოჯახში, ისე სხვა მუშების ცხოვრებაში. ხალხი ერთი-ორად უფრო დაღარიბდა, გარყვნილებამ და ლოთობამ უფრო მოიკიდა ფეხი. ყველაზე მეტად ეს ცვლილება დაეტყოთ შტერებს. ლუკას უმცროსი ძმა ანტონი გადაეკიდა მეზობელ შოპის ქალს, გარყვნილ ტერეზას, და ყველაფერი, რასაც კი ქარხანაში შოულობს ამ ტერეზასთან მიაქვს დედამამამ კარგად იცის ყოველივე ეს, მაგრამ არას ამბობს, პირიქით ხელს უწყობს ქალის გარყვნილებას, რადგან სხვა სახსარი ცხოვრებისა არა გააჩნია-რა. ანტონზე უკეთესს ყოფაში არც იმისი და ანნაა, რომელსაც დანიშნულმა თავი მიანება. უბედურება ის არის, რომ ანნას თავის დანიშნულისაგან უკანონო შვილიც ჰყავს. ყველა ამას ზედ დაერთო მოხუც ქვრივ შტერის საქციელიც. ამ მოხუცმა არც თავის მოხუცებას მიაქცია ყურადღება, არც იმას, რომ შვილიანი ქალი და ვაჟკაცი ვაჟები ჰყავს და ერთ მშვენიერ დღეს მოისურვა გათხოვება. კიდეც იშოვნა თავისი შესაფერი—ჭკუა თხელი, მაგრამ შეძლებული გლეხი.

აი, ამ ყოფაშია ოჯახი, როდესაც ამბავი მოვიდა, რომ ლუკამ სალდათობა გაათავა და საცაა მოვაო. ამ ამბავმა მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა. ყველა შიშითა და კანკალით მოელის ლუკას, ყველას სინიდისი აწუხებს, რადგან კარგად იცის, რომ ლუკასთან ხუმრობა არ შეიძლება. ლუკას მოსვლას სიხარულითა და აღტაცებით მოელის მხოლოდ ახალგაზრდა ლუიზა, შტერების ოჯახში აღზრდილი ქალი. ლუიზა ჩუმად იმას ამბობს, რომ ლუკა ყველაფერს გაასწორებს და გამოაკეთებსო. ლუკა მთელ სოფელს კარგად ახსოვს; ახსოვთ იმისი მტკიცე და შეუპოვარი ხასიათი, ახსოვთ იმისი ვაჟკაცური პირდაპირობა, ახსოვთ ისიც, რომ იგი იმ თავითვე რაღაცებს კითხულობდა და გონებას ივარჯიშებდა, რომ იგი სხვა სოფლელებს არ ჰგავდა, რომ ლუკა თავის თავის გარდა სხვებისთვისაც ზრუნავდა.

ლუკამ მოსვლისათანავე ერთი ალიაქოთი ასტეხა, ვერც ერთ ცუდ საქციელს და ავკაცობას ვერ შეურიგდა: დედას გათხოვებაზე ხელი აღებინა; აიძულა თავის დის დანიშნული—დანაპირევი აესრულებინა და შეერთო ქალი; გარყვნილ ტერეზას თვალები აუხილა: ამხილა; ყველაფერში თავისი დაცემული ძმა ანტონი და სხვა. ლუკამ თვით მუშებშიაც ერთი აურ-ზაური, მითქმა-მოთქმა ასტეხა: მოისურვა ხალხის გამოფხიზლება, საზოგადო ქარხნის დაარსება და სხვა, მაგრამ სიღარიბისაგან ერთხელვე დაბეჩავებულ და დაცემულ ხალხის ერთბაშად გამოღვიძება ისე ადვილი არ არის. დრამა იმითი თავდება, რომ ლუკა ახალგაზრდა ლუიზასთან ერთად მიდის სხვაგან, უკეთეს პირობებში ახალ, შეგნებულ ცხოვრების შესაქმნელად.

როგორც ჰხედავთ, დრამაში სიღარიბით და უვიცობით ტანჯულ მუშების ცხოვრებაა აწერილი. მარტო ეს გარემოებაც საინტერესოდ ხდის დრამას. ყველას მოეხსენება, რომ დღემდე იშვიათია ისეთი ნაწარმოები, სადაც ქარხნის დღიურ მუშების ნამდვილი ცხოვრება იყოს დასურათებული. ბელეტრისტები და დრამატურგები, თითო-ოროლას გარდა, თავიანთ ნაწარმოებში თითქმის სულ არ აქცევდნენ ყურადღებას მშრომელთა კლასის ამ ჯგუფს. ვიმეორებთ, ზემოხსენებული დრამა მარტო ამ მხრივაც საინტერესოა. მაგრამ ამას გარდა ლანგმანის დრამა ნამდვილი ნაწარმოებია, მადლიანის ხელით დასურათებული და ცხოვრების სიღრმიდან გადმოღებული. ავტორს ჰსურს ცოცხალის რეალურის სურათებით დაგვანახოს, რა საზარელი გავლენა აქვს მუშებზე ქარხანას, როგორ სულითა და ხორცით აქუცმაცებს იგი კაცს და უხშობს ყოველსავე იმას, რითაც ადამიანი პირუტყვისაგან განირჩევა. ეს კერძო მაგალითია დღევანდელ ცხოვრების სიდუხჭირისა, ხოლო ზოგადი აზრი, იდეა ლანგმანის დრამისა უფრო დიდია: ავტორი ნათლად, აშკარად გვიმტკიცებს, რომ ყოველივე უბედურება ამ ქვეყნად დღევანდელ ცხოვრების წყობილების შედეგია. იმ უსწორ-მასწორობისა, რომლითაც ადამიანთა შორის სიმდიდრეა განაწილებული. ლანგმანის გმირები ცუდ საქმეს სჩადიან, გარყვნილებას მისდევენ და ავკაცობას არ ერიდებიან მხოლოდ ლუკმა პურისთვის.

ხსნა მაშინ იქნება, როდესაც ხალხში თვითცნობიერება და შეგნება გავრცელდება. რა თქმა უნდა, სიმდიდრის უსწორმასწორობა არ მოისპობა ერთბაშად, მაგრამ თვით-ცნობიერებასთან ერთად დაიწყება შეგნებული ბრძოლა იმასთან, რასაც დღეს კაპიტალიზმს ეძახიან. საჭიროა მოწინააღმდეგე ძალა. ლანგმანის დრამაში ასეთ ძალის წინამორბედი ლუკა შტერია. იგი უკვე ფიქრობს ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და იბრძვის, თავგამოდებით იბრძვის ამისთვის. სოფელში ლუკას ზოგი „წითელს“ ეძახის, ზოგი „ურწმუნოს“, „ღვთის მგმობელს“ და სხვას. უვიც ხალხის თვალში ლუკა, რომელიც ერთობას და თანასწორობას დაეძებს, ჯერჯერობით მხოლოდ ურწმუნო, მთავრობისა და უფროსების მოწინააღმდეგე კაცია. ლუკა ახალი ძალაა, მომავალ ცხოვრების შემქმნელი.

4. პროგრამა

ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიისა.

(დასასრული *)

VI კანონმდებლობა მუშათათვის

36. შემოღებულ იქნეს რვა საათის სამუშაო დღე ყველა დაქირავებულ მუშებისათვის.

37) დაკანონდეს გაუწყვეტელი დასვენება ყოველ კვირაში არა ნაკლებ 48 საათისა ორისავე სქესის მუშებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში.

38) ნორმაზედ გადამეტებული მუშაობა სრულიად აკრძალულ იქნეს.

39) ღამე მუშაობა, საღამოს 9 საათიდან დილის 6-მდე, აღიკრძალოს, ყველა მრეწველობის დარგებში იმ ისეთებს გარდა, სადაც ტეხნიკური პირობების გამო შეუწყვეტელი მუშაობა აუცილებლად საჭიროა და სადაც ეს მუშათა ორგანიზაციების მიერ იქნება ნებადართული.

40) აღეკრძალოთ მწარმოებელთ ბავშვის სამუშაოდ დაქირავება 16 წლამდის. სამუშაო დრო ახალგაზრდებისათვის 16—18 წლამდე არ უნდა აღემატოს ექვს საათს.

41) ქალებს უნდა აღეკრძალოს შრომა იმ სამრეწველო დარგში, სადაც მათი აგებულებისათვის მუშაობა მავნებელია; ორსული ქალები უნდა განთავისუფლდნენ მუშაობისაგან სამუშაო ქირის გამოურიცხველად დალოგინებამდი ოთხი კვირით ადრე და ექვსი კვირით შემდეგ.

42) ყველა ფაბრიკებთან, ქარხნებთან და სხვაგან, სადაც კი ქალები მუშაობენ, სადგომები უნდა აშენდეს, აქ მოეწყოს საწოლი ძუძუ-მწოვარ პატარა ბავშვებისათვის; მიეცეთ დედებს სამუშაოდან წასვლის ნება ბავშვების მოსავლელად, ნახევარი საათიდან სამ საათამდის საჭიროების დაგვარად.

43) სიბერისა ან სხვა რაიმე მიზეზის გამო დაუძლურებაში ჩავარდნის დროისათვის მუშების უზრუნველ საყოფელად სახელმწიფომ უნდა დააზღვიოს ისინი სპეციალური ფონდის ხარჯით, რომელიც უნდა შესდგეს ფაბრიკანტებზე განსაკუთრებულის გადასახადის დადებით.

44) აღიკრძალოს სამუშაო ქირად ფულის მაგიერ საქონლის მიცემა; მუშებს ანგარიში ყოველ კვირაში უნდა გაუსწორონ და უსათუოდ სამუშაო დროს განმავლობაში.

45) აღეკრძალოს კაპიტალისტებს სამუშაო ქირიდან ფულის გამორიცხვა, რა მიზეზითაც, ან რა დანიშნულებისთვისაც და რა მოსაზრებითაც უნდა იყოს იგი გამოწვეული.

46) დაინიშნოს საკმაო რიცხვი საფაბრიკო ინსპექტორებისა მრეწველობის ყოველ დარგებში; გავრცელდეს მათი ზედამხედველობა როგორც სახაზინო, ისე ყველა იმ წარმოებაში, სადაც დაქირავებულ შრომას ხმარობენ.

(შინაურ მოსამსახურეთა შრომაც ინსპექციის ზედამხედველობის წრეში შედის); მრეწველობის დარგებში, სადაც უფრო ქალები მუშაობენ, ინსპექტორებად ქალები უნდა დაინიშნონ.

მუშებმა უნდა იყოლიონ, სახელმწიფო ჯამაგირით, თავიანთ მიერ არჩეულნი წარმომადგენლები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ: საფაბრიკო კანონების შესრულების თვალ-ყურის დევნაში, საქონლის ნაჭრობით დასამზადებელ ფასების შედგენაში, მასალის მიღებასა და დაწუნებაში და დამზადებულ საქონლის ჩაბარებაში.

47) დაევალოს ადგილობრივ თვითმმართველობას, მუშების მიერ არჩეულ პირებთან ერთად თვალყური ადევნოს იმ სადგომების სანიტარულ მდგომარეობას, რომელთაც კაპიტალისტები მუშებს საცხოვრებლად აძლევენ; მასვე უნდა დაევალოს, თვალყური ადევნოს იმ სადგომებში შინაურ წესიერებას და იმათ დაქირავების პირობებს, რომ მუშა, როგორც კერძო პირი და მოქალაქე, თავისუფალი იყოს თავის შინაურ ცხოვრებასა და მოქმედებაში კაპიტალისტების ჩარევისაგან.

48) დაარსდეს წესიერად მოწყობილი სანიტარული ზედამხედველობა მრეწველობის ყველა დარგებში, სადაც დაქირავებულ შრომას ხმარობენ; ამისთვის საჭიროა საექიმო და სასანიტარო ორგანიზაციის სრული დამოუკიდებლობა კაპიტალისტებისაგან. დაწესდეს მუშების უფასოდ წამლობა, მრეწველების ხარჯით, ავადმყოფობის დროს ჯამაგირის გამოურიცხველად.

49) მრეწველები სისხლის სამართალში უნდა მიეცენ, თუ შრომის დამცველ კანონებს დაარღვევენ.

50) სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში სახელმწიფო სასამართლოები უნდა დაარსდეს, რომელნიც შემდგარი უნდა იქნენ თანასწორად მუშებისა და კაპიტალისტების წარმომადგენლებისაგან.

51) დაევალოს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს შუამავალი კანტორების დაარსება, რომელნიც იკისრებენ შუამდგომლობას როგორც ადგილობრივ, ისე შორიდან მოსულ მუშების დაქირავებაში (შრომის ბირჟები); ამ კანტორების გამგეობა შესდგება მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

VII. საერო განათლება.

52) უნდა მოისპოს ყოველგვარი დაბრკოლება სასწავლებელში შესასვლელად ორისავე სქესისა, სარწმუნოებისა და შთამომავლობის განურჩევლად.

53) მიეცეს თავისუფლება კერძო და საზოგადო ინიციატივისა ყოველგვარ სასწავლებლის დასაარსებლად და თავისუფლება სწავლებისა.

54) გამრავლდეს სასწავლებელთა რიცხვი.

55) დაარსდეს სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები ტფილისსა და ქუთაისში და უნივერსიტეტი ტფილისში.

56) შემოღებულ იქმნეს სწავლება დედა-ენაზე.

57) შემოღებულ იქმნეს საყოველთაო, სავალდებულო და უფასო სწავლება პირველ დაწყებით სკოლაში და თუ შესაძლო იქმნება, საშუალოსა და უმაღლეს სასწავლებელში.

VIII. ეკკლესია.

58) აღდგენილ იქმნას საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალია.

59) სრული თავისუფლება მიეცეს ყველა სარწმუნოებას.

IX. სამხედრო სამსახური.

60) სამხედრო სამსახურისათვის ორი წლის ვადა უნდა დაწესდეს.

61) სამხედრო სამსახური ჯარის კაცებმა სამშობლოში უნდა შეასრულონ.

62) ჯარის კაცნი ვალდებულნი არ უნდა იყვნენ პოლიციის სამსახური გასწიონ.

X. ავტონომია რუსეთის სხვა და სხვა ეროვნებისათვის.

63) რუსეთში ახალის სახელმწიფო წყობილების დაარსებისათანავე ყველა ეროვნებათა და კერძოდ საქართველოს უფლება უნდა მიეცეს დაამყაროს ავტონომიური მმართველობა.

64) ავტონომიურ საქართველოში უნდა დამყარდეს სამოქალაქო თავისუფლება და ხელშეუხებელ იქნეს ეროვნული უფლება უმცირესობისა.

65) ავტონომიურ საქართველოს საზღვრები უნდა აღნიშნოს საგანგებო კრებამ, რომელიც შესდგება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების და ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქების მიერ თავისუფლად არჩეულის დეპუტატებისაგან.

66) ავტონომიურ საქართველოს საზღვრები უნდა დაამტკიცოს რუსეთის დამფუძნებელ კრებამ. ყველა საგანი, რომელიც მთელის რუსეთის სახელმწიფოსათვის საერთო იქმნება, უნდა ექვემდებარებოდეს განსაკუთრებად რუსეთის პარლამენტს. ამ სახით საქართველოს პარლამენტი არ უნდა შეეხოს შემდეგ საგნებს:

67) ა. რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესის უფლების წარმომადგენელისათვის საჭირო ხარჯს; ბ. ჯარისა და ფლოტის საქმეს; გ. ომის გამოცხადებასა და შერიგებას; დ. პოლიტიკურ კავშირებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებას რომელსამე სახელმწიფოსთან; ე. გარეშე საქმეთა პოლიტიკას; ვ. ბაჟის დადებას გარეშე საქონელზე; ზ. ქარხნებისა და სავაჭრო კანონმდებლობას; ჱ. არა პირდაპირ გადასახადის კანონის გამოცემას; თ. რკინის გზებისა და სხვა გზების გაკეთებას, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქნებათ და რომელნიც სახელმწიფო ხარჯით იქნებიან აგებულნი და ი. ფულის მოჭრას.

68) ადგილობრივი საქართველოს პარლამენტი განაგებს შემდეგ საგნებს:

ა. სწავლა-განათლების საქმეს; ბ. სამსაჯულოსა და ყველა ადგილობრივ კანონების გამოცემას, რომელნიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონებს; გ. ადგილობრივ გზებსა და მიმოსვლას ხმელეთზე, თუ ზღვაზე; დ. ადგილობრივ ფინანსებს; ე. საავტონომიო უძრავ ქონებას; ვ. სტამბას; ზ. ფოსტა-ტელეგრაფს და ტელეფონს; თ. ეკკლესიას; ი. საზოგადო ჯანმრთელობის საქმეს და კ. ყველა სხვა საზოგადო და სახელმწიფო საქმეს.

69) საქართველოს პარლამენტი იმ წესითა და საფუძვლით უნდა იქმნეს არჩეული, როგორც რუსეთის პარლამენტი. ავტონომიურ საქართველოს რუსეთის სხვა ავტონომიურ ერებთან შეკავშირების უფლება უნდა ექმნეს, იმ პირობებით, რომელნიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ მთელის სახელმწიფოს ინტერესებს.

70) როგორც სრულიად რუსეთის პარლამენტის წევრების პიროვნება, ისე საქართველოს პარლამენტისაც, ხელშეუხებელი უნდა იყოს პარლამენტის უსანქციოთ.

71) საქართველომ მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადო სახელმწიფო ხარჯში, რაც მის მცხოვრებლების რიცხვს პროპორციონალურად ხვდება და ამისათვის საკუთარის ხაზინისაგან უნდა გადასდებდეს განსაზღვრულ პროცენტს.

72) რუსეთის ხაზინას არა-პირდაპირის გადასახადისაგან მიეცემა საქართველოს ის პროცენტი, რომელიც ერგება მას მცხოვრებთა რაოდენობის დაგვარად.

73) რუსეთის მთავარ-მართებელი, დანიშნული უმაღლესის მთავრობისაგან, ყურს უნდა უგდებდეს, რომ ავტონომიურმა მმართველობამ მტკიცედ შეასრულოს პარლამენტისაგან გამოცემული კანონები.

74) ვერც ერთი საქართველოს შესახები რუსეთის სახელმწიფოს აქტი ვერ გამოცხადდება, თუ რომ რუსეთის მთავრობასთან გაგზავნილი ქართველი წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის ნდობით აღჭურვილი, ამ აქტის თანახმა არ იქნება და ზედ ხელს არ მოაწერს.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2981.

წერილები

გულგულა. ს. გულგულაში მცხოვრები ვანო კოლელიშვილი—ამ სოფლის დიდი მემამულე—ძალიან მოწადინებული იყო, რომ თავის სოფელში დაეარსებინა სამეურნეო ამხანაგობა და ერთი სოფლისთვის ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა აუტანელი მდგომარეობა. 8 იანვარს მოხდა გულგულელების კრება. კრებას დაესწრო, სხვათა შორის, ივანე როსტომაშვილიც. გლეხებმა ძალიან ბევრი ილაპარაკეს თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობაზედ, თავიანთ სიღარიბესა და დაბეჩავებაზედ. ილაპარაკა როსტომაშვილმაც, რომელმაც გლეხებს განუმარტა სარგებლობა სამეურნეო ამხანაგობისა. ბოლოს ილაპარაკა ვანო კოლელიშვილმა და დაახლოვებით შემდეგი უთხრა გლეხებს: „ძმებო და ამხანაგებო! გაჭირვება თქვენი დიდია, მდგომარეობა თქვენი აუტანელია. თქვენთვის არ არსებობს არც თბილი სადგომი, არც კარგი სასმელ-საჭმელი და ტანისამოსი, არც მოსვენება, არც ნამდვილი ადამიანური ცხოვრება. მუდამ დღე მუშაობთ, სისხლის ოფლსა ღვრით და თქვენი თავისთვის კი ვერა მოგიგხიათ რა. ბევრის აუტანელის მუშაობით და ძაღლურის ცხოვრებით სიცოცხლეს იმოკლებთ, ავად ხდებით და თქვენი მომხედავი კი არავინ არის. აბა შეხედეთ თქვენს შვილებს, შიმშილ-სიცივისაგან გამოყვითლებულან, დაავადმყოფებულან, დაღვრემილ-დაჭმუჭნულან. სად არის მაგათი ბალღური საამოდ მოღიმარი სახე, სიცოცხლით სავსე თვალები? სად არის მაგათი ბალღური სიცელქე? საწყალი ბალღები, ფეხს აიდგამენ თუ არა, მაშინვე მუშაობას უნდა მიჰყონ ხელი: ხან ბატებსა სდევენ, ხან კამეჩებს. სად არის მაგათთვის სწავლა-განათლება? თუ ჩვენ ასე ძაღლ-უბედურად ვიცხოვრებთ, ისევ ის არა სჯობია, რომ სულ არ ვიყვეთ! ჩვენი ცხოვრება რა ცხოვრებაა? ეს ტანჯვა-ვაებაა. ხომ ხედავთ, რომ ჩვენთვის არავინ ზრუნავს, ჩვენ თითონვე ვიზრუნოთ ჩვენი თავისთვის.

სიღარიბის და გაჭირვების წამალი მე ძალიან ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერა ვიპოვე რა, გარდა

ლებმა უფრო მეტი შიში გამოიწვია მოქალაქეთა შორის და დღე ერთი იყო და გახიზნულთა რიცხვი მრავალი. უმეტეს შემთხვევაში იხიზნებოდნენ მაღლაკსა, ხონსა, ქვიტირსა და სხვა მახლობელ სოფლებში, ხოლო ქუთაისში დარჩენილნი ისე იყვნენ დამფრთხალნი, რომ ყოველ ღამეს ელოდნენ ქალაქის დარბევას და განადგურებას.

ასე მიმდინარეობდა საქმე, როდესაც ქუთაისში ხმა გავარდა, რომ ტყიბულაში მყოფ ბესარაბიის პოლკის როტას წითელი რაზმელები დაეცნენო. ვიდრე გამოირკვეოდა საქმე, ქუთაისში მყოფი ჯარი უფრო აღელდა და წამ და უწუმ ისმოდა მუქარა ჯარის კაცთაგან ქალაქის დარბევის შესახებ. ჩვეულებრივმა გაზვიადებამ ყოველ თვალ-საჩინო ამბისა აქაც იჩინა თავი და ვიდრე თვით როტა არ ჩამოვიდა ქუთაისში, ჭორებმა ხან ნახევარი როტა გაანადგურეს, ხან მთელი როტა და ეს უკნაური ხმები აღელვებდნენ ქუთაისის გარნიზონს.

გაუთავებელ ჭორებს და განგაშს ბოლო მოუღო თვით როტის ჩამოსვლამ ტყიბულიდან. როგორც მოსალოდნელი იყო, ქუთაისის ხმები გაზვიადებული აღმოჩნდა. საქმე ასე გამოირკვა: როტა ბესარაბიის პოლკისა ორ ნაწილად ყოფილა გაყოფილი; ერთი ნაწილი დარაჯობდა თურმე ქვა-ნახშირის მაღაროებს, ხოლო მეორე—ვაგზალს, ვაგზალზე თავ-დასხმის დროს ყოფილა 11 ჯარის-კაცი. ამათ თავი შეფარებული ჰქონიათ საბარგო ვაგონში. თავდამსხმელთ პირველად იარაღის დაყრა მოუთხოვნიათ ჯარის-კაცებისთვის და რაკი უარი მიუღიათ, ვაგონის ქვეშ ორი ყუმბარა შეუგდიათ, რომელთაგან მარტო ერთი გამსკდარა და ორი ჯარის-კაცი მოუკლავს. შემდეგ ამისა დარჩენილ ჯარის კაცთა და თავდამსხმელთა შორის ატეხილა სროლა, რომლის დროსაც ერთი ჯარის კაცი მძიმედ დაჭრილა, ხოლო მეორე მსუბუქად, დანარჩენ ჯარის კაცთ-კი გაუფანტავთ თავდამსხმელნი და შეერთებიან ამხანაგებს. შეერთებულ როტას მოკლული და მძიმედ დაჭრილი ჯარის კაცნი ტყიბულაში მიუტოვებია და თითონ ქუთაისისაკენ წამოსულა.

ქუთაისში მშვიდობით ჩამოვიდნენ, მაგრამ იმათ მიერ მოთხრობილმა ამბავმა მეტად აღელვა ბესარაბიის პოლკის ჯარისკაცები და განსაკუთრებით აფიცრობა. პოლკის უფროსმა იმავე დღეს მოიწვია სათათბიროდ გუბერნატორი, პროკურორი და ორგანიზაციების წარმომადგენელნი და აფიცრობის მხრით ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოთხოვნილებანი წარუდგინა. უმთავრესი მუხლები ამ მოთხოვნილებისა ის იყო, რომ დახოცილ ჯარის-კაცების გამოსატანად დაუყოვნებლივ მატარებელი გაეგზავნათ ტყიბულაში, იმავე ჯარის-კაცების დამარხვას ორგანიზაციების წარმომადგენელნი დასწრებოდნენ და დაესახელებინათ ის პირნი, რომელნიც მეთაურობდნენ ჯარის კაცების თავზე დაცემას. პირველი მუხლი ორგანიზაციებმა მიიღეს, ხოლო დანარჩენების შესრულებაზე უარი განაცხადეს. ძალით,—სთქვა ერთმა წარმომადგენელმა,—ჩვენ დასაფლავებას არ დავესწრებით და თუ თქვენი სურვილი თხოვნით გამოითქვა, მაშინ დარწმუნებული ვარ, ყოველი ჩვენგანი თავს მოვალედ ჩასთვლის დაესწროს სამწუხარო პროცესიას. რაც შეეხება უკანასკნელ მოთხოვნილების შესრულებას, იგი ჩვენზე არ არისო დამოკიდებული, რადგან, ჩვენ არც-კი ვიცით, ვინ იყვნენ ამ საქმის მეთაურნიო.

ვიდრე ეს კრება გათავდებოდა, ქალაქში ხმა გავარდა, რომ ბესარაბიის პოლკის უფროსმა იმ აზრით მიიწვია წარმომადგენელნი, რომ დაატუსაღოსო, მაგრამ შიში ტყუილი აღმოჩნდა.

როტა ჯერ ქუთაისში არ იყო ჩამოსული ტყიბულიდან, რომ ადგილობრივ გარნიზონის უფროსმა განიზრახა როტის ჩამოსაყვანად ერთი სოტნა ყაზახის გაგზავნა ტყიბულაში. სოტნა ხსენებულ ლარიონოვის მეთაურობით მართლა წავიდა ტყიბულაში და ვიდრე ესენი ტყიბულაში მივიდოდნენ, როტა ქუთაისში ჩამოვიდა.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ის გარემოება, რომ ყაზახებმა გააფუჭეს რკინის გზას ლიანდაგი და ტელეგრაფი იმ აზრით, რომ დელეგატების მატარებლების მოძრაობა მოესპოთ და თან დაემუქრნენ ორგანიზაციების წარმომადგენელთ. თუ ვისმემ მოინდომა ლიანდაგის ან ტელეგრაფის შეკეთება ან და მატარებლით სიარული, ჩვენ იძულებული ვიქნებით სროლა დავუწყოთო; თუ რკინის გზა ჩვენთვის არ არის, განაცხადეს კაზაკებმა,—ნურც სხვისთვის იქნებაო. ლიანდაგი და ტელეგრაფი გააფუჭეს ყაზახებმა რიონამდე და ტყიბულამდე, ხოლო მთავარი ლიანდაგი გაუფუჭებელი იყო და მიმოსვლა არ შეწყვეტილა.

ჯერ კიდევ ლაპარაკი ტყიბულის ამბავის შესახებ გათავებული არ იყო, რომ ქუთაისში ხმა გავრცელდა, ზესტაფონსა და ხარაგაულში ტენგინის პოლკის ორი როტისათვის იარაღი აუყრიათ და შემდეგ უყარაულოდ დარჩენილი ზესტაფონის ხაზინა გაუხსნიათ და 200,000 მანეთზე მეტი წაუღიათო.

ნამდვილის გაგება, ვიდრე გუბერნატორი თითონ არ წავიდა ზესტაფონში, ვერ მოხერხდა. რა ხმები არა ვრცელდებოდა ქუთაისში!? ასეთი ხმები, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილესთან საერთო არა ჰქონდათ-რა, ქუთაისის ჯარში მღელვარებას იწვევდა. ბევრნი სამხედროთა შორის ექსპედიციის გაგზავნას ითხოვდნენ ზესტაფონში როტების გამოსახსნელად და ხალხის დასასჯელად. რამდენადაც ჩვენ ვიცით, იყო დრო, როცა ზესტაფონში წასასვლელად გამზადებული იყო ერთი როტა ტყვიის მტყორცნელისა (პულემეტი), ყაზახების ორი სოტნა, ერთი ბატარეა და რამდენიმე როტა ქვეითი ჯარისა.

ხუთ იანვარს გუბერნატორი ~~დრუჟინით~~ ესკორტით გაემგზავრა ზესტაფონში,—6 საღამოს უკანვე დაბრუნდა და ასეთი ამბავი მოიტანა: რაცა ორგანიზაციებს გაუგიათ რომ ხარაგაულსა და ზესტაფონში დაბინავებული როტები უნდა შეერთდნენ და ქუთაისში გაემგზავრონ ადგილობრივ გარნიზონის გასაძლიერებლად, მაშინ გადაუწყვეტიათ როტებისთვის იარაღის წართმევა. ხარაგაულიდან წამოსულ როტას ზესტაფონისაკენ გზაში ჩასაფრებიან რაზმელები და მიახლოვებიან თუ არა როტები, შეუჩერებიათ და წინადადება მიუციათ, იარაღი დაჰყარეთო. პასუხად როტის უფროსს დავიდოვს რევოლვერი დაუცლია და როტისათვისაც უბრძანებია, ისროლეთო. სწორედ ამ დროს გავარდნილა რაზმის მხრივ თოფი და დავიდოვი ტყვიით განგმირული დაცემულა. შეშინებული როტა რაზმელებს დანებებია და იარაღიც აუყრია.

თითქმის ამავე დროს ზესტაფონში შემდეგი მომხდარა: ადგილობრივ როტის აფიცრები ბუფეტში დაუგულებიათ ორგანიზაციების წარმომადგენელთ, უსარგებლიათ ამ შემთხვევით და დაუტუსაღებიათ. წინადვე მომზადებული შეიარაღებული რაზმი სავთის ვაგონებს ამოჰფარებია და ჯარის კაცთა ყაზარმებისთვის დაუწყიათ სროლა. ჯარის კაცებსაც უპასუხნიათ და პატარა ხანს უკან იარაღი აუყრიათ და რაზმებს დანებებიან. უიარაღოდ ჯარის კაცები ჭიათურაში გაუგზავნიათ.

რაკი ჯარისათვის იარაღი აუყრიათ, ხაზინისაკენ მიუმართავთ. როცა მოუყვანიათ ცნობაში ფულის რაოდენობა, ხაზინადრისა და მოხელეთა თანადასწრებით, ნაღდი ფული 201.600 მანეთი, წაუღიათ და სამაგიეროდ ხელ-წერილი დაუტოვებიათ.

იარაღის აყრის დროს მოჰკლეს, როგორც ზევითაცა ვთქვით, აფიცერი დავიდოვი და სამი ჯარის კაცი; დაიჭრა სამი ჯარის კაცი. აქედან აშკარად დაინახავს მკითხველი, რომ როტებს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ასეა თუ ისე, როტების დამარცხებისაგან აღელვებული ქუთაისის გარნიზონი იმუქრებოდა ქალაქის განადგურებას, ამით შეშინებული მოქალაქენი სტოვებდნენ სახლს, კარს, ქონებას და იხიზნებოდნენ, ვისაც სად შეეძლო.

კლდე.

(დასასრული იქნება).

ერთობისა, გარდა ძმობისა, გარდა ამხანაგობისა. ცალკ-ცალკე რომ ვიყვნეთ, ჩვენ გაჭირვებას, ჩვენ დაბეჩავებას ვერ მოვუვლით, რადგან ჩვენი გაჭირვება დიდია, და ერთმანეთისაგან გაცალკევებულებს ძალა არ შეგვწევს. ყველას ერთად-კი ძალიან გაგვიადვილდება ჩვენი ჭრილობების მოვლა. როგორც ერთ კამეჩთან ერთად მეორესაც უბამთ ხოლმე უღელში და ისინი ერთად ეწევიან ჭაპანს, ისე ჩვენც უნდა მოვიქცეთ. უღელი კამეჩი გუთანს ადგილიდანაც-კი ვერ დასძრავს და ექვსი უღელი-კი ძალიან ადვილად გადააბრუნებს ადოს. ძალა ერთობაშია. ყველამ მხარი მხარს უნდა მივსცეთ, უნდა ერთნი ვიყვნეთ ჭირშიაც და ლხინშიაც, და ჩვენ დაბეჩავებულ მდგომარეობასაც ვუშველით. ძმებო, ჩვენ, ვისაც ქონება გვაქვს, ჩვენი ქონება ჩამოვიდეთ სასოფლოდ, ამხანაგურად დავამუშავოთ უქონლებთან ერთად და ამხანაგურად გავიყოთ საჭიროებისდა კვალად ჩვენი ნაწვავ-ნადაგი. აი მე მთელ ჩემ ქონებას: მიწებს, ვენახებს, საქონელს ჩამოვდივარ სასოფლოდ და ვინც მე მომემხრობა და თავის ქონებასაც ჩამოვა სასოფლოდ, ცალკე გავიდეთო“.

მთელი სოფელი გადავიდა ვანო კოლელიშვილის მხარეს, გარდა ათის კომლისა. იმ დღესვე ამოირჩიეს ხელმძღვანელები ამხანაგობისა: ვანო კოლელიშვილი და არჩილ იაკაშვილი (წელს გაათავა სასულიერო სემინარია). ამათ უნდა სოფელში იცხოვრონ მუდამ. იმ დღესვე შეადგინეს სია, ვინ რამდენი სარჩო შეიტანა ამხანაგობაში. ვინც მოისურვებს ამხანაგობიდან გამოსვლას, იმას თავის შეტანილი სარჩო უკანვე უბრუნდება. გარდა ამისა ამხანაგობა შეუდგება: მეფუტკრეობას, აბრეშუმის ჭიის მოყვანას, ფარდაგების, ხალიჩების, წინდების ქსოვნას, საქონლისა და ფრინველების მოშენებას და სხვა. ვუსურვებ, რომ ამ ამხანაგობის საქმე კარგად წასულიყოს.

თელავი. როგორც პროვინცია, ტფილისს დაშორებული თელავი, სწორედ შესაბრალისია და ეს უფრო ორკეცდება გაფიცვის დროს: აღარც გაზეთები, აღარც წერილები, არც კერძო ცნობები. კაცი სწორედ უდაბნოში ჰგრძნობს თავს. დაიწყო თუ არა დეკემბრის გაფიცვა, დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა თელავის ხაზინას. ვისაც კი ორიოდ გროში ებადა, შემნახველ კასაში შეტანილი, ყველა მიეშურებოდა, ჩქარა გამოეტანა. ავადმყოფნიც კი მიჰყავდათ და გაჰქონდათ ფული. წინად თუ დეკემბერში იმდენს შეჰქონდა სახელმწიფო და საადგილმამულო გადასახადი, რომ საღამოს 5—6 საათამდე მუშაობდნენ მოხელენი და მაინც ვერ ასწრებდნენ, ეხლა არც ერთი კაპეიკი არ შედიოდა თურმე და მაინც მუშაობა ჰქონდათ, რადგან ფულის გამტანის გასტუმრებას ვერ ასდიოდნენ. რასაკვირველია, სულ ქაღალდის ფულს იღებდნენ და ყველა გამომტანი სცდილობდა ოქროზე გადაეხურდავებინა. რაღაც საეჭვო თვალით უყურებდნენ ახალწლიწადს. ბაზარში სულ გამოილია ოქრო, ზოგს პროცენტებითაც კი ეძლია დახურდავებაში. ვერცხლის ხურდა ფულიც რაღაც მანქანებით სულ გასწყდა ბაზარში. ახალ წლის წინა დღეებში მთელი ბაზარი რომ შემოგევლოთ, სამ-მანეთიანის ხურდას ვერ იშოვიდით.

ფულის გამოტანის ამბავმა ბოროტმოქმედამდისაც მიაღწია. ამათაც აცქვიტეს ყურები, რომ მარჯვე დროთი ესარგებლნათ. სხვათა შორის, გაძარცვეს კუპატნელი დიაკვანი. მამა-შვილი წამოსულიყო თელავში და შავ-დღისთვის გადანარჩუმებული 300 მან. გაეტანა ხაზინიდან. შინ დაბრუნებისას დაუხვდნენ უცნობი პირნი გასაძარცვავად. რასაკვირველია, ესენი გასძალიანებოდნენ, მამას შვილი მიჰშველებოდა და ამ დროს მოეკლათ საბრალო, ფულიც წაეღოთ, მამა კი მძიმედ დაეჭრათ.

გაფიცვის დაწყებისათანავე თელავს შაქარი შემოაკლდა. ვისაც მოტანილი ჰქონდა, თითო გირვანქობით ჰყიდდა, მაგრამ ესეც მალე გათავდა. დღესაც ბაზარში შაქარი არ იშოვება. ფქვილიც ძრიელ მალე გამოილია. თეთრი ფქვილი რუსეთისა ხომ სრულებით არ იშოვება და უნდა დავუმატო, რომ წელს კახეთში კარგი პურის მოსავალი რომ არ ყოფილიყო და მას არ მოეშველებინა ფქვილი, სწორედ თელავი დაიმშეოდა. ეხლა ადგილობრივი ფქვილი შემოდის სოფლებიდან და იმითი საზრდოობს თელავი, მაგრამ პურს კი მეტად მდარეს აცხობენ და ცომ-ცომს ჰყიდიან. ნავთიც ამ ორი კვირის წინედ გამოილია საწყობებში. ზოგს დაემალა და მერე მეტად ეყიდნა მალვით. ეხლა კი მოიტანეს, ამასთან გაიგებენ რასმე თუ არა, ბევრი მოვაჭრეთაგანი, მაშინვე ფასს წაუმატებენ პირველ უსაჭიროეს საგნებზე. ასევე მოიქცნენ წარსულს გაფიცვის დროსაც, ვიდრე ხალხმა არ ჩამოიარა დუქან-დუქან და არ აუკრძალა ასეთი საქციელი. მხოლოდ ამის შემდეგ მიაქციეს ყურადღება ათის თავებმა და ნიხრი დაუწერეს.

შაქრის, ფქვილის, ნავთის და სხვა უშოვნლობა და მასთან ამისთანა სიძვირე, ისევ დაბალ, ღარიბად მაცხოვრებელ მუშა ხალხს აწვება კისერზე მეტ ტვირთად, თორემ ჩვენ ალებს და შეძლებულებს სიიაფის დროსვე აქვთ დამზადებული ყველაფერი და იმ დროს, როცა ხელმოკლე მუშაკს ავადმყოფობის დროს და ბავშვებისათვისაც-კი არა აქვს ჩაი და სანათი, ესენი არაფერ ნაკლულოვანობას არა გრძნობენ.

დ.

პრიუტი (ტფილისის მაზრა). 26 დეკემბერს, ტფ. მაზრის უფროსის ბრძანებით, აქ მოვიდა ოთხი ურიადნიკი—ალეშენკო, ჩიკვაიძე, პაპოვი (ბერძენია) და მატინინი. ესენი მივიდნენ პირდაპირ აქაურ მამასახლისთან და უთხრეს, რადგან თქვენ სოფლის გამგეობა (ამორჩეულნი პირნი) თქვენს მოვალეობასა და სამსახურს არ ასრულებთ, უნდა ტფილისში წამოხვიდეთო. მეტი ჯანი არ იყო, უნდა შეესრულებინათ ბრძანება, დაემორჩილნენ და წაჰყვნენ. მოვიდნენ თუ არა ჭამის-ხევთან, იქ ჩასაფრებულებმა გაისროლეს თოფები და ეს ოთხივე ხსენებული ურიადნიკი მოჰკლეს. დაიწყო სასტიკი გამოძიება. მოვიდნენ მაზრის უფროსის თანაშემწე გუგუშვილი და ოცზე მეტი სტრაჟნიკი, შეიპყრეს მამასახლისი, სოფლის მოსამსახურენი და რამდენიმე კაცი. ამათგან სამი გაანთავისუფლეს და დანარჩენნი კი შეიყვანეს ერთის მემამულის ეზოში. სტრაჟნიკებმა წამოიგდეს თოფები და დაიძახეს: „ჩვენ ჩვენი მოკლული ამხანაგების სისხლი სისხლითვე უნდა ავიღოთო და ეხლავე უნდა დავხვრიტოთ ეს ხალხიო“. ის იყო, დაუმიზნეს თოფები, რომ მივარდა გუგუშვილი, ურიადნიკი კალმარი და სხვანი და, როგორც იყო, დაარწმუნეს, ასეთი საქმე არ ჩაედინათ. სტრაჟნიკებმა უთხრეს, არ დავხოცავთ მხოლოდ მაშინ, თუ ამათ აღარ გაანთავისუფლებენო. დაჭერილები ტფილისში წაიყვანეს და დააპატიმრეს.

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

17 იანვარი

პეტერბურგი, 16 იანვარი. გამოიცა კანონი, რომლის ძალით სახელმწიფო ბანკები ნაღდად შეტანილ ფულს იღებენ სამუდამოდ და 4½ % გადაიხდიან წელიწადში თუ კაპიტალის შემოსავალზე გადასახადი იქნება დაჭერილი.

ნაბრძანებია, დაარსდეს საზღვაო მინისტრის ამხანაგის თანამდებობა, მთავარს საზღვაო შტაბის უფროსს-კი მიეცეს მინისტრის ამხანაგის უფლებები.

ხვალ გზათა მინისტრი მიდის მოსკოვის გზით ვოლგის მხრისა და სამხრეთის გზებისაკენ, რათა გაეცნოს საქმეების მდგომარეობას.

დღეს სახელმწიფო საბჭო შეუდგა კავშირების შესახებ კანონ-პროექტის განხილვას, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტის თანხმად არის შედგენილი. თამბაქოს მრეწველობის წარმომადგენელთა რჩევა დაიწყო რჩევაზე უნდა განიხილონ თამბაქოზე აქციზის გადიდების საკითხი, თანხმად ფინანსთა მინისტრის პროექტისა. რჩევამ აზრი გამოსთქვა, რომ ბანდეროლიანი სისტემა შეიცვალოს ფუთობით გადასახადზე.

ტამბოვი, 16 იანვარი. სადგურ ბორისოგლებსკზე ხუთი ტყვიით დასჭრეს გუბერნიის სამოსამართლოს მრჩეველი ლუჟენოვსკი. დაატუსაღეს დამნაშავე ქალი, რომელმაც თავისთავს გიმნაზიელი ქალი ალექსანდროვისა უწოდა.

პეტერბურგი, 16 იანვარი. პროფესორთა რჩევაზე ილაპარაკეს პროექტზე შესახებ რექტორისა და სხვა თანამდებობის პირებზე. დაადგინეს, რომ რექტორებსა და მათ თანაშემწეებს ირჩევს საბჭო, დეკანებსა და სეკრეტრებს ფაკულტეტისას—თვითონ ფაკულტეტები. ყველანი აირჩევიან ორის წლით აბსოლუტურის უმეტესობით და ხმა ექნებათ არჩეულ იქნან შემდეგ ვადებშიაც. ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა პრინციპიალურად შემდეგი: უნივერსიტეტში წესიერების აღსადგენად პასუხის გება რექტორს ეკისრის და მასვე აქვს უფლება მიიღოს ყველა საჭირო ზომები, წესდების საზღვრებში და თანხმად საბჭოს მიერ დადგენილ წესებისა.

საერო განათლების სამინისტრომ ითხოვა, ნება მიეცეს ერობებს, გახსნან არა მარტო ერთ კლასიანი დაწყებითი სკოლები, არამედ ორკლასიანიც, ხუთის წლის კურსით. ამასთანავე სამაზრო სასწავლებლების საბჭოებში შევლენ უფრო ბევრი წარმომადგენელნი ერობისა, გადამწყვეტი ხმით, საერობო სამმართველოთა თავმჯდომარენი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

17 იანვარი

პეტერბურგი. მოსკოვის გენ.-გუბერნატორი დუბასოვი დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად და დარჩა იმავე თანამდებობაში.

„პრავიტ. ვესტ.“ იუწყება, უკანასკნელ დროის განჩხრეკამ იმპერიის სხვა და სხვა კუთხეში შემდეგი შედეგი მოიტანა: ვარშავაში დაიჭირეს ერთი კაცი, რომელიც ეკუთვნოდა პოლონეთის რევოლიუც. პარტია „პროლეტარიატ“-ს; მას უპოვნეს იარაღი, დინამიტი და აუარებელი რევოლიუციონური ლიტერატურა; ვილნოში 8 იანვარს წაართვეს, განჩხრეკის დროს, ორი ბომბა, ვიტებსკი გუბერნიის ქალაქ ველიჟში 5 იანვარს დამით ნახეს ორი ბომბა; ეკატერინბურგში აღმოაჩინეს ბომბების სახელოსნო და იარაღი; ეკატერინოსლავში დაატუსაღეს სახელოსნოსა და სხვა და სხვა იარაღისა, აღმოაჩინეს აგრეთვე მეორე სეთივე სახელოსნო და წაიღეს ერთი გატენილი ბომბა და ორი ბომბის სახვევი; იმ დამესვე ნახეს ორი ბომბა; ლოძში დაატუსაღეს 6 ანარქისტი და წაართვეს ორი ბომბა, ადესაში შეიპყრეს, ბომბით ხელში, წევრი სოციალისტ-რევოლიუციონერთა მებრძოლ დრუჟინისა დავით აგრანატი, რომელსაც ოდესის პოლიცმეისტერი უნდა მოეკლა; სუვალკში აღმოაჩინეს ასაფეთქებელ ნივთიერებათა სახელოსნო; ტფილისში ქუჩაში დაიჭირეს ორი ტერორისტი, რომელთაც წაართვეს რევოლვერები და გატენილი ბომბა; სამარაში, 2 იანვარს, მემანქანე კრესტოვნიკოვის ბინაზე აფეთქება მოხდა და მას ცეცხლი მოჰყვა; ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ, აქ აღმოაჩინეს ასაფეთქებელ ნივთიერებათა სახელოსნო და 12 გატენილი ბომბა; ირკუტსკში პოლოგრუდოვის ქალის ბინაზე აღმოაჩინეს 9 სახვევი ბომბისა, 8 ათასამდე პატრონა ვინტოვკებისა და 20 რევოლვერი პატრონებით.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება: „როგორც ცნობა მივიღეთ, სახელმწიფო სტამბაში უკვე დაიბეჭდა პროექტი იმ ცვლილებათა ძირითად კანონებში, რომელნიც უნდა გამოაქვეყნონ ძლიერ ჩქარა და მათთან ერთად გამოსცენ შესაფერი მანიფესტი; ეს პროექტი იქნება ახლანდელ კანონების კრებულის პირველ ტომის პირველ ნაწილის ადგილზე და მისდა თანხმად შემეცნება მონარქიის განუსაზღვრელ უფლებაზე მოისპობა, როგორც მოისპობა, საერთოდ, მთელი პირველი მუხლი კანონთა კრებულისა. მონარქის ტიტული არავითარ ცვლილებას არ განიცდის. როგორც ვიცით, ეს ტიტული იხსენიებს მხოლოდ თვითმპყრობელობას და არაფერს ამბობს განუსაზღვრელობაზე; ამგვარად თვითმპყრობელობა მომავალში აიხსნება მხოლოდ საერთაშორისო დამოუკიდებლობის აზრით (სუვერენიტეტით). პროექტში არაა ნახსენები არავითარი შეფიცვა მონარქისა კონსტიტუციისადმი, მაგრამ იმ მანიფესტში, რომელიც უნდა გამოიცეს ახალ ძირიად კანონებთან ერთად, ნახსენებია ისა, რომ მონარქი უზრუნველ ჰყოფს კონსტიტუციის შესრულებას მემკვიდრისა და მთელის შთამოების მხრივ. მონარქის ფუნქციები შემდეგი იქნება: მონარქი ანხორციელებს საკანონმდებლო ძალას სახელმწიფო საბჭოსთან ერთად. იმ კანონის პროექტი, რომელსაც უარს ჰყოფს სათათბირო ანუ საბჭო, არ შეიძლება შეტანილ იქნას იმავე სესსიაში განსახილველად. მართვა-გამგეობის შესახებ უკაზის შემეცნება ისევ ძალაში რჩება, მხოლოდ სენატის პირველ დეპარტამენტს ეძლევა უფლება შესცვალოს ის უკაზები, რომელნიც წინააღმდეგნი იქნებიან კონსტიტუციისა ანუ კანონისა. თუ სახელმწიფო სათათბირო ვადის გასვლამდე დაითხოვეს, იმავე უკაზში, რომელშიაც იქნება განკარგულება ამის შესახებ, უნდა განიმარტოს არჩევნების ვადა და ახალ სესსიის დასაწყისი. ამასთან არჩევნები უნდა ხდებოდეს არა უგვიანეს 4 თვისა დღიდან უკაზის გამოცემისა, სესსიის დასაწყისი—არა უგვიანეს ექვსი თვისა. მოქალაქეების ძირითადი უფლებები განმარტებულია თანახმად დასავლეთის კონსტიტუციებისა. ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე. პირადობის ხელშეუხებლობის გარანტია განმარტებულია იმ სახით, რომ ყოველივე საქმე გადაეცეს მოსამართლეს ერთის დღე და ღამის განმავლობაში“.

ტოკიო. კურინო დაინიშნა ელჩად პარიზში, მოტონო პეტერბურგში.

რიგა, 16 იანვარი. შეიარაღებულთა რაზმი გარს შემოერტყა საქონლის სადგურს, გადასჭრა ტელეფონი და წაიღო კასიდან 2349 მან. მოხელე, რომელიც გაქცევას აპირებდა, მოკლულ იქნა. დამნაშავენი მიიმალნენ სადგ. რინ-მუნდი-გოფზე, რიგა-ორლოვის გზაზე, მეამბოხეებმა მოჰკლეს სადგურის უფროსი, [illegible] დასჭრეს მეორე თანაშემწე, ერთი კერძო პირი და მიიმალნენ.

მინსკი, 16 იანვარი. შეიტყეს გუბერნატორისა და პოლიცმეისტრის მკვლელის განმზრახველთა ვინაობა. გუბერნატორისთვის ბომბის მსროლელი აღმოჩნდა რეალურ სასწავლებელ გათავებული პულიხოვი, პოლიცმეისტრისთვის მსროლელი-კი არტილერიის გენერლის ქალი იზმაილოვიჩი.

პეტერბურგი, 16 იანვარი. სამთოსა, ტექნოლოგიურსა და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში სწავლა შემოდგომისთვის გადასდეს და სტუდენტები მიდიან ქალაქიდან.

რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადებული 16 მილიონი მან. განაწილებულ იქნა ცალკ-ცალკე გზებს შორის. გზათა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტები რკინის გზაზე მოსამსახურეების დასვენების სავალდებულო ნორმისა, უფლებისა, ვალდებულობათა და დანაშაულობაზე და შეაქვს მინისტრთა საბჭოში. სასკოლო საქმის შესახებ საერო სამინისტრომ საყურადღებო ცირკულიარი გამოსცა.

კავკასი, 17 იანვარი. სოფლების უმეტესობამ გასცა დეკემბრის არეულობის მეთაურები, იარაღი და ნაწილი გატაცებულ ქონებისა. რაზმმა იარაღი იხმარა მხოლოდ სოფ. ნოგკაუში სადაც გრანატა იხმარეს მცხოვრებლების ჯიუტობის გამო, რომელსაც არავინ დაუშავებია. იმ სოფლებს‘ რომელნიც არეულობაში მონაწილეობდნენ, დიდი ჯარიმა დაადეს..

ვარშავა, 17 იანვარი. სამოსამართლო პალატასთან ორის დეპარტამენტის გახსნასთან ერთად ვარშავის საოლქო სასამართლოს მეოთხე განყოფილება ემატება; განსაკუთრებით პოლიტიკურ საქმეებისთვის. „კურიერ ვარშავსკი“-ს ცნობით, კალიშის გუბერნიის კრამოსკის გმინის მცხოვრებთ ცნობა მოსვლიათ საერო სამინისტროსაგან, რომ პოლონეთის დაბალ სასწავლებლების პირველ კლასებში ყველა საგნების სწავლება, გარდა რუსულ ენისა, შეიძლება პოლონურად ან ლიტვურად.

კიევი, 17 იანვარი. ადმინისტრაციის დადგენილებით დაიხურა პირველი პედაგოგიური საზოგადოება იმიტომ რომ მან გაფიცვა გამოაცხადა საშუალო სასწავლებლებში. აიკრძალა ბეჭდვით სიტყვის ნაწარმოებების ცალკე ნომრობით გასყიდვა ქუჩებსა, მოედნებსა და იარმუკებში. უფლებრივ წესიერებისა და კონ.-დემოკ. პარტიათა კრებებს ცოტა ხალხი ესწრობა.

კოპენჰაგენი, 17 იანვარი. შუადღისას, სამეფო სასახლის აივნიდან მინისტრ-პრეზიდენტმა აცნობა ხალხს, რომ ტახტზე ავიდა მეფე ფრიდრიხ მერვე; ამის შემდეგ ახალმა მეფემ სიტყვით მიმართა ხალხს.

მიტავა, 17 იანვარი. კუშინ ბენკნის ფოსტის განყოფილება გაძარცვეს სამმა მეამბოხემ და წაიღეს 1000 მ. კუშინ ფრიდრიხშტატის მაზრაში დაატუსაღეს რევოლიუციონური კომიტეტი, რომელსაც მიეთვისებინა ბარონ კანის ქონება.

იურიევი. საბჭოთლო ინსტიტუტის დადგენილებით მიმდინარე სემესტრში არ გაიღება ინსტიტუტი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ 1906 წლის 25 იანვრისთვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის ბოძებზე აფიშების და განცხადებების გაკვრის საქმე. ვისაც ვაჭრობა სურს, შეუძლიანთ ვაიცნონ პირობები ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 2 საათამდე. (2—6.—2)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ 1906 წლის 25 იანვრისთვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ფულის მოკრების საქმე მნაცაკანის ხიდზე. ვისაც ვაჭრობა სურს, შეუძლიან პირობები გაიცნოს ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, გამგეობის მეოთხე განყოფილებაში 10-დან 2 საათამდე. (2—6—2)

ქირავდება სახლები
ზ. ჩიქოვანისა 35 ოთახით და თავის მოწყობილობით. გამოდგება ნომრებად ან კიდევ სხვა დაწესებულებად.
ადრესი: რიყის ქ. № 95. (2—2)

✦ კბილებს ✦
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—23)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდისს კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
წელიწადი მეჩვიდმეტე
1906 წელსაც გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.
ჟურნალი დღეის იქით გამოვა უცენზუროთ და ეცდება დააკმაყოფილოს ახალი სკოლის მოთხოვნილება.
რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლად. რედაქცია შეძლებისა დაგვარად ხშირათ ჩაურთავს ჯეჯილის ნომრებში ფერადი წამლებით ნახატებს.
ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილის გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.
ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101.) და თვით ჯეჯილის რედაქციაში (Артилер. ул. № 5- возлѣ Кадетскаго Корпуса.).
ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.
(3—უ.—1) რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია წერეთლისა.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
„ნაკადული“
წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება იანვრიდან იანვრამდე.
პირველი ნომერი გამოვა 1 იანვარს.
რადგანაც ფოსტა-ტელეგრაფი არა მოქმედებს, მუდმივ სტამბების გაფიცვისა და არეულობის გამო იძულებული ვართ მეორე წლის პირველი ნომრები გამოვსცეთ იანვრიდან.
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წ. კ. გ. საზოგადოების“ კანცელარიაში და მარიამ დემურიას სადგომში—ალექსანდროვის ქუჩა № 5.
რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში № 8.
დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან. ნახევარ წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 50 კაპ. ცალ-ცალკე ნომერი „მცირე წლოვანთათვის“ 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თიში თითო მანეთი შემოიტანონ.
შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად
პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „НАКАДУЛИ“.
რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი.
გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი

открыта подписка на 1906 годъ
на ежедневную политическую литературную и экономическую газету
„НОВОСТИ“
(Подъ редакціей О. К. НОТОВИЧА)
вмѣстѣ съ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫМЪ иллюстрирован., художест. и литератур. журналомъ
„Петербургская жизнь“
заключающимъ въ себѣ, кромѣ литературно-худежественныхъ отдѣловъ:
Медико-гигіеническое обозрѣніе
(Эскулапъ)
ТЕХНИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ.
(Новѣйшія открытія и изобрѣтен., успѣхи пром. и торг. въ связи съ успѣхами наукъ, просвѣщ. и техники)
Новѣйшія моды и спортъ
и Естественно-научное обозрѣніе
(„Природа и хозяйство“: естеств. науки, сельское хозяйство, садоводство и т. д.)
Обширный матеріалъ по гигіенѣ и медицинѣ, домоводству, сельскому хозяйству, техникѣ и, вообще, для цѣлей самообразованія.
Съ цѣлью сдѣлать 1-е (лольшое) изданіе „НОВОСТЕЙ“ доступнымъ для болѣе широкихъ круговъ читателей
цѣна этого изданія
ПОНИЖЕНА на 5 руб.—съ 17 руб. до 12 руб.
для городскихъ и иногородныхъ подписчиковъ
ПОДПИСНАЯ ЦѢНА
I-го (большаго) изданія
ДЛЯ ГОРОДСКИХЪ и ИНОГОРОДСКИХЪ:

На годъ	11 мѣс.	10 мѣэ.	9 ммѣ.	8 мѣс.	7 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
12 —	11 25	10 75	10 —	9 —	8 —
6 мѣс.	5 мѣс.	4 мѣс.	3 мѣс.	2 мѣс.	1 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
7 —	6 —	5 —	4 —	2 70	1 40

ЗА ГРАНИЦУ:

На годъ	11 мѣс.	10 мѣс.	9 мѣс.	8 мѣс.	7 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
20 —	19 —	18 —	17 —	15 —	13 —
6 мѣс.	5 мѣс.	4 мѣс.	3 мѣс.	2 мѣс.	1 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
11 —	10 —	8 —	6 —	4 —	2 —

IIго (малаго) изданія
ДЛЯ ГОРОДСКИХЪ ПОДПИСЧИКОВЪ

На годъ	6 мѣс.	3 мѣс.	1 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.
6. —	3 —	1 50	— 60

ДЛЯ ИНОГОРОДНИХЪ ПОДПИСЧИКОВЪ

На годъ	6 мѣс.	3 мѣс.	1 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.
7 —	3 50	1 75	— 60

Подписка принимается только 1-го числа каждаго мѣсяца.
Подписка на 1 годъ считается только съ 1-го января по по 1-е января.
РАЗРОЧКА допускается только на I-е изданіе съ перваго января на годъ; при подпискѣ—4, руб., въ мартѣ—4 руб. и въ іюлѣ 4 р при подпискѣ на время менѣе года разрочка не допускается.
Отдѣльная подписная цѣна журнала „ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ“:
безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 руб., на 6 мѣс.—3 руб., на 3 мѣс.—1 руб. 75 коп. Съ доставкою и пересылкою: на 1 годъ—6 руб., на 6 мѣс.—3 руб., на 2 мѣс. 1 руб.
Подписныя деньги прилагаются, по возможности, почтовыми переводами, по адресу: Главной конторы газ. „НОВОСТИ“ Спб., Кирочная 24.
Городская контора газ. „НОВОСТИ“. Спб., Невскій пр., 30. Телефонъ 787.
Редакторъ О. К. Нотовичъ
Издатель Ю. Б. Бакъ

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. განჯის დიდი ქუჩა ტელეფონი № 372